

# საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა  
ეკონომისტთა ასოციაცია



ASSOCIATION OF YOUNG  
ECONOMISTS OF GEORGIA

## ცრანშიცრი საქართველოს

### გაზლით

(გზამავლები)

თბილისი  
2006

## შესავალი

საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი და ფუნქცია დღითიდღე იზრდება. ეს განპირობებულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობით და მსხვილი სატრანზიტო პროექტების რეალიზაციით. ამასთან, გეოსტრატეგიული მდებარეობის რაციონალური და ეფექტური გამოყენება ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია.

ქვეყნაში ტრანზიტის განვითარების ძირითად ბაზის მოწესრიგებულ საგზაო ინფრასტრუქტურასთან და სხვა ფაქტორებთან ერთად მარტივი საბაჟო პროცედურები წარმოადგენს. საბაჟო პროცედურების სიმარტივეს კი ჰარმონიზებული საბაჟო კანონმდებლობა და საზღვრის კვეთისას ბარიერების სიმცირე განაპირობებს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველომ მიიღო ახალი საბაჟო კოდექსი და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები. გარდა საბაჟო კანონმდებლობისა, საზღვრის კვეთის პროცედურებს საერთაშორისო ხელშეკრულებები, სხვადასხვა კანონები და ინსტრუქციები არეგულირებს. გამომდინარე იქიდან, რომ საზღვრის კვეთას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქტები არეგულირებს, საზღვრის გადამკვეთი ნებისმიერი პირისთვის ტრანზიტთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივებულად გადმოცემას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მითუმეტეს მაშინ, როდესაც გადამზიდავების დიდი ნაწილი უცხოელია და ნაკლებად მიუწვდება ხელი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობაზე. ამიტომაც, გზამკვლევი დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს საზღვრის გადამკვეთ იმ პირებს, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში საქართველოს გავლით და ახორციელებენ საერთაშორისო გადაზიდვებს.

წინამდებარე გზამკვლევი ეყრდნობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ახალ საბაჟო კოდექსს და მის შესაბამისად მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს. გამოყენებულია ასევე საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობა და სახელმწიფო უწყებებიდან მოპოვებული ოფიციალური ინფორმაცია. საგზაო-სატრანზიტო მარშრუტების და საბაჟო ორგანოების სისტემის უკეთ წარმოსადგენად გზამკვლევს დართული აქვს საქართველოს რუკა შესაბამისი პირობითი აღნიშვნებით.

გზამკვლევი გამოიცა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

## **შინაარსი**

- 1. ზოგადი ინფორმაცია ტრანზიტისა და TIR-კარნეტის შესახებ**
  - 1.1. ზოგადი ინფორმაცია ტრანზიტის შესახებ
  - 1.2. სასაზღვრო საბაჟო გამშვები პუნქტები და საბაჟო კონტროლის ზონები
  - 1.3. საქონლის საბაჟო გაფორმება TIR-კარნეტის პრინციპებით
- 2. ტრანზიტის ძირითადი პროცედურები**
  - 2.1. საქონლის წარდგენა შემოსვლის საბაჟო გამშვებ პუნქტზე
  - 2.2. საქონლის ან/და სატრანსპორტო სამუალების დეკლარირება
  - 2.3. ტვირთის ან/და სატრანსპორტო სამუალების აღრიცხვის მოწმობა
  - 2.4. ტრანზიტის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები
  - 2.5. საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადები
- 3. ძირითადი სატრანზიტო მარშრუტები საქართველოს გავლით**
  - 3.1. ფოთი – წითელი ხიდი (საავტომობილო)
  - 3.2. სარფი – წითელი ხიდი (საავტომობილო)
  - 3.3. ვალე – წითელი ხიდი (საავტომობილო)
  - 3.4. ბათუმი – სადახლო (საავტომობილო)
  - 3.5. ყაზბეგი – სადახლო (საავტომობილო)
  - 3.6. ბათუმი – გარდაბანი/მარნეული (სარკინიგზო)
  - 3.7. ფოთი – სადახლო/მარნეული (სარკინიგზო)
- 4. პასუხისმგებლობა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის**
  - 4.1. პასუხისმგებლობა საბაჟო სამართალდარღვევებზე
  - 4.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
- 5. აკრძალვები და განსაკუთრებული კონტროლი**
  - 5.1. აკრძალვები საავტომობილო გზებით სარგებლობაზე
  - 5.2. აკრძალვები ზოგიერთი სახეობის საქონლის გადაადგილებისას
  - 5.3. ზოგიერთი სხვა სახის აკრძალვა
- 6. ძირითად ტერმინთა განმარტებები**
- 7. დანართები**
  - 7.1. ტრანზიტის დეკლარაციის ნიმუში და შევსების წესი
  - 7.2. მნიშვნელოვანი საბაჟო ინფორმაციები
  - 7.3. ტრანზიტთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ნუსხა

## 1. ზოგადი ინფორმაცია ტრანზიტისა და TIR-პარნენტის შესახებ

### 1.1. ზოგადი ინფორმაცია ტრანზიტის შესახებ

საქონლის ტრანზიტი არის ერთ-ერთი საბაჟო რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ტერიტორიის გავლით გადაადგილდება უცხოური საქონელი საბაჟო გადასახლელების გადახდის გარეშე. ტრანზიტი აუცილებლად ხორციელდება ორ ქვეყნას შორის (მაგ. თურქეთიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს გავლით) ან ერთი ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის (მაგ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერთი დასახლებიდან მეორეში საქართველოს გავლით).

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად საქონლის გადაზიდვა ხორციელდება:

- TIR-ის (საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების) დოკუმენტის საფუძველზე;
- ფოსტით, საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე;
- სატრანსპორტო ზედდებულის, საპარკო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება შემდგომი გადაზიდვისათვის ან/და შეიცავს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებს;
- სხვა დოკუმენტებით, რომელიც შესაძლოა დამტკიცოს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ცალკეულ შემთხვევებში და ფორმით.

საქონელი, რომელიც გაივლის საქართველოს ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის ბუნებრივი დანაკარგებით. ტრანზიტისთვის განკუთვნილი საქონელი არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზნით ე.ო. არ უნდა დარჩეს საქართველოს ტერიტორიაზე, არ მოხდეს მისი გადამუშავება, გაყიდვა და ა.შ.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის დროს საქონლის საბაჟო დათვალიერება ხორციელდება ორ საბაჟო ორგანოში:

1. გაგზავნის საბაჟო ორგანო;
2. დანიშნულების საბაჟო ორგანო.

გაგზავნის საბაჟო ორგანო არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, საიდანაც იწყება სატრანზიტო გადაზიდვა (ე.წ. შემოსვლის საბაჟო გამშვები პუნქტი), ხოლო დანიშნულების საბაჟო ორგანო – საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, სადაც მთავრდება სატრანზიტო გადაზიდვა (ე.წ. გასვლის საბაჟო გამშვები პუნქტი).

საქონლის სატრანზიტო გადაზიდვას ორგანიზებას უწევს საქონლის გადამზიდველი (ან დეკლარანტი). საქონლის გადამზიდველი (ან დეკლარანტი) ვალდებულია:

- დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარადგინოს საქონელი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების დაუზიანებლად და თანმხლები დოკუმენტები, დადგენილ ვადასა და უცვლელ მდგომარეობაში;
- წარადგინოს გარანტიები საქონელთან დაკავშირებით წარმოსაშობი საბაჟო ვალდებულების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით;
- დაიცვას საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები.

საქონლის გადამზიდველი ან სხვა პირი, რომელსაც გადაეცა ტრანზიტის რეჟიმში მოქცეული საქონელი (რომელმაც შემოიტანა ეს საქონელი შემოსვლის საბაჟო ორგანოში), საბაჟო ორგანოსაგან შეთანხმებით ვალდებულია დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარადგინოს საქონელი

განსაზღვრულ 10 დღის ვადაში უცვლელ მდგომარეობაში. საქონლის გადამზიდველი ვალდებულია დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარადგინოს საქონელი და თანმხლები დოკუმენტაცია საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (ლუქი, პლომბი და სხვა) დაუზიანებლად.

საქონლის გადამზიდველი (ან დეკლარანტი) ვალდებულია გაგზავნის საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია სატრანზიტო გადაზიდვებთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულებების დაფარვის უზრუნველყოფის მიზნით. საქონლის გადამზიდველის მიერ წარდგენილი გარანტია შეიძლება იყოს ინდივიდუალური და საერთო. გარანტია ინდივიდუალურია, როდესაც იგი წარდგენილია ცალკეული სატრანზიტო გადაზიდვისათვის, ხოლო საერთოა, თუ იგი რამოდენიმე სატრანზიტო გადაზიდვისთვისაა წარდგენილი.

საქართველოს იმ საწარმოებს ან მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებიც მუდმივად იყენებენ საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმს და საბაჟო ორგანო დარწმუნებულია მათ შესაძლებლობებში, შესარულონ ამ რეჟიმით განსაზღვრული ვალდებულებები, შეუძლიათ ისარგებლონ საერთო გარანტიით. ამასთან, ბოლო 6 თვის განმავლობაში მათ არ უნდა ქონდეთ ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევა. შესაძლებელია საერთო გარანტიის მიღება, რისთვისაც დეკლარანტი ამავე დროს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- სათანადოდ იყენებდეს საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმს ბოლო კალენდარული წლის განმავლობაში;
- ჰქონდეს მყარი ფინანსური მდგომარეობა, რაც უზრუნველყოფს წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების დაფარვის შესაძლებლობას.

**გარანტიის შემცირებული თანხით წარდგენისათვის ან განთავისუფლებისათვის ვერ ისარგებლებენ ის საწარმოები ან მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც სურთ მაღალი რისკების მქონე საქონლის ტრანზიტი.**

საბაჟო ვალდებულების დაფარვის უზრუნველსაყოფად გარანტიის წარდგენა საგალდებულო არ არის, თუ საქონელი გადაადგილდება:

- TIR-წიგნაკით;
- საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტით;
- მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით.

გაგზავნისა და დანიშნულების საბაჟო ორგანოებში არსებული მონაცემების შედარებით, თუ საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ საქონლის გადაზიდვა განხორციელდა საბაჟო კანონმდებლობის დაცვით, საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი გადაკვეთს საბაჟო საზღვარს და სატრანზიტო გადაზიდვა ჩაითვლება დასრულებულად.

თუ შემოსვლიდან 10 დღის ვადაში საქონელი არ დატოვებს გასვლის საბაჟო ორგანოს, ან კიდევ წარმოდგენილი არ იქნება მტკიცებულებები საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შეწყვეტის შესახებ, საბაჟო ორგანო ატარებს სათანადო ღონისძიებებს საბაჟო კანონმდებლობის დაცვის მიზნით (იხ. პასუხისმგებლობა საბაჟო კანონმდებლობის დარღვევისათვის).

## 1.2. სასაზღვრო საბაჟო გამშვები პუნქტები და საბაჟო კონტროლის ზონები

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა საბაჟო ორგანოების სამუშაოს დროს დაშვება იმ ადგილებში (იხ. თანდართული რუკა), რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული (სამუშაო დღეებში 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტები, გარდა „წითელი ხიდისა“, „სადახლოს“, „გარდაბნის“, „ახკერპის“, „გუგუთის“, „მტკვრის“, „ლაგოდეხის“, „სამთაწყაროს“, „ყაზბეგის“, „ვალეს“, „ნინოწიმინდის“, „თბილისის აეროპორტის“, „სარფის“, „ბათუმის აეროპორტის“, „ქუთაისის აეროპორტის“, „სენაკის აეროპორტის“, „ბათუმის პორტის“ და „ფოთის პორტის“, სადაც სამუშაო დრო განსაზღვრულია 24 სთ-ით). სხვა ადგილებში ან საბაჟო ორგანოების არასამუშაო დროს საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საზღვრის გადაკვეთა დასაშვებია საბაჟო დეპარტამენტთან წერილობითი შეთანხმებით.

**დაინტერესებული პირის (გადამზიდავის, დეკლარანტის, საქონლის მფლობელის) თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, საბაჟო დამუშავების ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც.**

**საბაჟო საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელია შემდეგ სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებში (იხ. თანდართული რუკა):**

- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტები „სარფი“, „ბათუმის პორტი“, „ბათუმის აეროპორტი“ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტები „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „ახკერპი“, „გუგუთი“, „მტკვარი“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „უდაბნი“, „საბათლო“, „ვაშლოვანი“ – აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, საქართველო-სომხეთის და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი“ – ქ. თბილისის ტერიტორია, კახეთის გზატკეცილი;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ – საქართველოს ჩრდილოეთ ტერიტორია, საქართველო-რუსეთის საზღვარზე;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტები „ვალე“ და „ნინოწმინდა“ – საქართველოს სამხრეთ ტერიტორია, საქართველო-თურქეთის და საქართველო-სომხეთის საზღვარზე;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტები „ფოთის პორტი“, „ქუთაისის აეროპორტი“, „სენაკის აეროპორტი“, „მამისონი“ – დასავლეთ საქართველოს ტერიტორია;
- ✓ საბაჟო გამშვები პუნქტები „გარდაბანი“, „სადახლო“, „ფოთი“ – სარკინიგზო ტრანსპორტით მოძრავ საქონელზე.

### საქართველო-სომხეთის საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხა

№	საბაჟო პუნქტების დასახელება საქართველოში	საბაჟო პუნქტების დასახელება სომხეთში	კონტროლის ობიექტი	გამშვები საბაჟო პუნქტის კატეგორია
1.	ნინოწმინდა	ბავრა	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
2.	გუგუთი	გოგარანი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
3.	ახკერპი	პრივოლნოე	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
4.	სადახლო	აირუმი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	სარკინიგზო

5.	სადახლო	ბაგრატაშვილი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
6.	ახტერპი	ჯილიზა	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო

### საქართველო-აზერბაიჯანის საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხა

№	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>საქართველოში</u>	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>აზერბაიჯანში</u>	კონტროლის ობიექტი	გამშვები საბაჟო პუნქტის კატეგორია
1.	წითელი ზიდი	წითელი ზიდი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო I კატეგორიის
2.	მტკვარი	სადიხლი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო I კატეგორიის
3.	ჯანდარა	ბეიუკ-კასიკ	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	სარკინიგზო I კატეგორიის
4.	ლაგოდეხი	ბელოქანი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო I კატეგორიის
5.	სამთაწყარო	მუღანლო	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო I კატეგორიის
6.	უდაბნო	პოილუ	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო II კატეგორიის
7.	გაშლოვანი	სადახლი	მგზავრთა და ტრანსპორტის ყველა კატეგორია, გარდა ტვირთებისა	საავტომობილო II კატეგორიის
8.	საბათლო	ალმალი	მგზავრთა და ტრანსპორტის ყველა კატეგორია, გარდა ტვირთებისა	საავტომობილო II კატეგორიის

### საქართველო-თურქეთის საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხა

№	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>საქართველოში</u>	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>თურქეთში</u>	კონტროლის ობიექტი	გამშვები საბაჟო პუნქტის კატეგორია
1.	სარფი	სარფი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
2.	ახალციხე	პოსოფი-თურქეთი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო

### საქართველო-რუსეთის საბაჟო გამშვები პუნქტების ნუსხა

№	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>საქართველოში</u>	საბაჟო პუნქტების დასახელება <u>რუსეთის ფედერაციაში</u>	კონტროლის ობიექტი	გამშვები საბაჟო პუნქტის კატეგორია
1.	განთიადი	ადლერი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
2.	განთიადი	ადლერი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	სარკინიგზო
3.	როკი	ქვემო ზარამაგი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო

4.	მამისონი	ქვემო ზარამაგი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო
5.	ყაზბეგი	ზემო ლარსი	ტვირთებისა და მგზავრთა ყველა კატეგორია	საავტომობილო

საბაჟო პროცედურების (საქონლის დათვალიერება, სინჯებისა და ნიმუშების აღება, დეკლარირება და ა.შ.) განხორციელების ადგილებად განსაზღვრულია:

- საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ადგილებში საქონლის წარდგენასთან, დათვალიერებასთან, საბაჟო დოკუმენტების არსებობის დადგენასთან, ზოგად დეკლარირებასთან, საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ჩატარებისას – **სასაზღვრო-საბაჟო გამშვები პუნქტები** („წითელი ხიდი“, „სადახლო“, „გარდაბანი“, „ახკერპი“, „გუგუთი“, „მტკვარი“, „ლაგოდეხი“, „სამთაწყარო“, „ყაზბეგი“, „ვალე“, „ნინოწმინდა“, „თბილისის აეროპორტი“, „სართვი“, „ბათუმის აეროპორტი“, „ქუთაისის აეროპორტი“, „სენაკის აეროპორტი“, „ბათუმის პორტი“, „ფოთის პორტი“);
- საბაჟო რეჟიმში საქონლის მოსაქცევად საქონლის წარდგენასთან, საბაჟო დეკლარირებასთან და დათვალიერებასთან, საბაჟო გადასახდელების გადახდასთან, სატრანსპორტო საშუალებებისა და პირადი ნივთების შემოწმებასთან, საბაჟო კანონმდებლობის შესრულების მიზნით სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ჩატარებისას – **საბაჟო დამუშავების ოპერაციების განხორციელების ადგილები განსაზღვრულია შემდეგ მისამართებზე:**
  - **ქ. თბილისი** – (1) ჭირნახვლის I შესახვევი 7; (2) ცოტნე დადიანის ქ. 30; (3) ქ. თბილისის აეროპორტი; (4) დავით აღმაშენებლის ხევანი, მე-13 კილომეტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობა – მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარგებისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;
  - **საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის ოპერაცია განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო პროცედურის ჩატარების ადგილზე.**
  - **ქ. რუსთავი** – „წითელი ხიდის“ ავტომაგისტრალის 56-ე კმ.; ფიროსმანის ქ. 38 (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა. ამ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ რკინიგზით მოძრავი ტვირთებისა და დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში შენახულ საქონლის მოქცევას);
  - **თელავი** – ერეკლე მეორის გამზ. 1 (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა. ამ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ რკინიგზით მოძრავი ტვირთებისა და დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში შენახულ საქონლის მოქცევას);
  - **მცხეთა** – ნარეკვავის დასახლება, ნატახტარის ქ. 1; ზაჟესის დასახლება, მშვიდობის ქ. 105ა;

- ბორჯომი – სოფელი ჩითახევი;
- ხელვაჩაური – სოფელი ადლია, შპს „ტერმინალის” საწყობის ტერიტორია;
- ქ. ბათუმი – (1) გოგებაშვილის ქ. 60; (2) ტბელ აბუსერიძის ქ. 11, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველო - მხოლოდ „საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;
- ქ. ფოთი – (1) აღმაშენებლის ქ. 52; (2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეცნიელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილება – მხოლოდ ”საბაჟო კონტროლის ზონაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო ორგანოების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო ორგანოების შეთანხმებული და კოორდინირებული თანამშრომლობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბაჟო დამუშავების ოპერაციებისათვის;
- წყალტუბო – სოფელი ქვიტირი, „საბაჟო-კემპინგი”.

საბაჟო კონტროლის ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და პირის მიმართ ხორციელდება საბაჟო კონტროლის ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ტვირთების და სატრანსპორტო საშუალებათა წარდგენა, მათი საბაჟო დათვალიერება, ტვირთების სინჯებისა და ნიმუშების აღება, კონტეინერების დალუქვა და სხვა.

საბაჟო კონტროლის ზონა მოიცავს საერთაშორისო მიმოსვლისთვის ღია სასაზღვრო პუნქტებს, ტერიტორიულ წყლებს, საბაჟო ორგანოს განთავსების ადგილს და საბაჟო საწყობებს, აგრეთვე ხმელეთის, შიდა წყლებისა და შენობა-ნაგებობის ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც საბაჟო პროცედურების მუდმივი ან დროებითი განხორციელებისათვის გამოყო საბაჟო ორგანომ მესაკუთრესთან ან კანონიერ მფლობელთან შეთანხმებით.

საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო პროცედურების განხორციელების ზუსტ ადგილს შესაბამისი მონიშვნებით განსაზღვრავს საბაჟო ორგანო. საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო კონტროლის ზონაში აკრძალულია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო პროცედურების განხორციელებამდე საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანა.

საქართველოს სასაზღვრო სარკინიგზო სადგურების გავლით სარკინიგზო ტრანსპორტის, საქონლის, მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით, საბაჟო კონტროლის ზონები მდებარეობს:

- ◆ „გარდაბანი” – რკინიგზის სადგურის ტერიტორიის სალიანდაგო ნაწილი;
- ◆ „სადახლო” – რკინიგზის სადგურის ტერიტორიის სალიანდაგო ნაწილი;
- ◆ „თბილისი-დამხარისხებელი” – მიმღები პარკის სალიანდაგო ტერიტორია;
- ◆ „ზესტაფონი” – მიმღები პარკის სალიანდაგო ტერიტორია;
- ◆ „ახალციხე” – რკინიგზის სატვირთო ეზო.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სწრაფი სამგზავრო მატარებლის მიმოსვლასთან დაკავშირებული სარკინიგზო ტრანსპორტის, საქონლის, მგზავრთა, მათი ბარგისა და სელბარგის გადადგილებისას საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საბაჟო კონტროლის ზონად განსაზღვრულია საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის სწრაფი სამგზავრო მატარებელი.

სწვა ადგილებში აუცილებლობიდან გამომდინარე (უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით, ასევე სარკინიგზო გადაზიდვების შეუფერხებლად) საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო პროცედურების განხორციელების პერიოდში, დროებით საბაჟო კონტროლის ზონად შეიძლება გამოცხადდეს სარკინიგზო სადგურების შესაბამისი ტერიტორია, სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლის დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

**სარკინიგზო სადგურებში საბაჟო კონტროლის ზონის საზღვარი აღინიშნება სპეციალური მაჩვენებლებით (მონიშვნებით).**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს ცალკეული სასაზღვრო საბაჟო ორგანოსათვის დაწესოს სადღედამისო მუშაობის რეჟიმი.

**დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და სასაზღვრო საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, კანონმდებლობით ნებადართული საბაჟო რეჟიმების გამოყენება და/ან საბაჟო პროცედურების განხორციელება შეიძლება საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც, მისივე ხარჯებით, საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით.**

### 1.3. საქონლის საბაჟო გაფორმება TIR-კარნეტის პრინციპებით

საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების დოკუმენტით (TIR - Transports International Routers) საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისად გადასაზიდად არ არის საჭირო რაიმე ზედმეტი დოკუმენტაციის წარდგენა, ვინაიდან TIR-კარნეტის/წიგნაკს აქვს საბაჟო დეკლარაციის ძალა.

#### TIR-კარნეტის არსი და სტრუქტურა

TIR-კარნეტის მოქმედი კონვენცია მიღებულ იქნა 1975 წლის 14 ნოემბერს უენევაში, ხოლო საქართველო 1994 წლის 24 სექტემბრიდან მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ-ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების კუთხით. კერძოდ, კონვენციის დებულებები აითლებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პროცედურებს კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლით გადაზიდვების დროს. ეს ეხება როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას. TIR-კარნეტის სისტემა 4 ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან შედგება. კერძოდ:

1. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები;
2. TIR-ის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი);
3. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა;
4. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება.

#### საგარანტიო გაერთიანებები და გადამზიდველები

საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (MCAT) და საგარანტიო გაერთიანებები დებენ ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიებთან, რათა მათი საგარანტიო თანხები დაზღვეული იყოს გადამზიდველების მიერ TIR-კარნეტის არასწორი გამოყენების რისკებისაგან. როდესაც გადამზიდველი არღვევს TIR-კარნეტის წესებს, MCAT ან საგარანტიო გაერთიანებები იძულებული არიან გადაუხადონ სათანადო თანხები საბაჟო ორგანოებს სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული თანხებით.

საქონლის გადამზიდვებმა საგარანტიო გაერთიანებებისგან TIR-ის შესაბამისი წიგნაკების მიღებამდე ხელი უნდა მოაწერონ ე.წ. „გალდებულებათა დეკლარაციას“. ამ დეკლარაციის ხელმოწერა გადამზიდველს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

- გადამზიდველმა საგარანტიო გაერთიანების მოთხოვნით უნდა უზრუნველყოს გირაოს, დეპოზიტის ან სხვა საგარანტიო უზრუნველყოფის წარმოდგენა;
- გადამზიდველმა საგარანტიო გაერთიანებას უნდა დაუბრუნოს საბაჟო ორგანოების მიერ სრულად გაფორმებული TIR-ის წიგნაკები, ხოლო გამოუყენებული წიგნაკები - მათი ვადის გასვლის შემდეგ;
- გადამზიდველს არა აქვს უფლება მასზე გაცემული წიგნაკი გაყიდოს ან გადასცეს სხვა გადამზიდველს;
- გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან, რათა საბაჟო ორგანოებმა TIR-ის წიგნაკში დასვან შესაბამისი ბეჭდები და ხელმოწერები, რომლებიც ადასტურებენ გადაზიდვების დასრულებას. თუ საბაჟო ორგანო უარს აცხადებს ამ პროცესების განხორციელებაზე, მაშინ გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს საბაჟო ორგანოს უარის დამასაბუთებელი შესაბამისი დოკუმენტი;

- თუ TIR-კარნეტის სატვირთო მანიფესტსა და ფაქტობრივად ჩატვირთულ საქონელს შორის არის შეუსაბამობა, მაშინ გადამზიდველი ვალდებულია მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მოცემულ შეუსაბამობას;
- გადამზიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს საბაჟო ორგანოებისაგან შესაბამისი განმარტება, თუ რის საფუძველზე განახორციელა საბაჟო ორგანომ TIR-წიგნაკში დათქმა;
- გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ყველა ის კანონიერი თანხა, რომელსაც მოითხოვს საბაჟო ორგანო;
- გადამზიდველმა უპირობოდ უნდა გადაიხადოს თანხები, რომელსაც მოითხოვს საგარანტიო გაერთიანება MCAT ან სადაზღვევო კომპანია TIR-ის წიგნაკის დარღვევით გამოყენების დროს.

### **საგარანტიო გაერთიანებები და საბაჟო ორგანოები**

საგარანტიო გაერთიანებებსა და საბაჟო ორგანოებს შორის იდება თავისუფალი ფორმის შეთანხმებები, რომლებშიც ყალიბდება მათი უფლება-მოვალეობები. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული შემდეგი რამდენიმე მომენტი:

- ◆ საგარანტიო გაერთიანება წარმოადგენს MCAT-ს და გადასცემს TIR-წიგნაკებს;
- ◆ საგარანტიო გაერთიანება ვალდებულებას იღებს გადაიხადოს ყველა თანხა, რომელიც მოთხოვნილი იქნება საბაჟო ორგანოების მხრიდან;
- ◆ საგარანტიო გაერთიანება მიუთითებს იმ მაქსიმალურ თანხას, რომელიც შეიძლება ანაზღაურდეს TIR-ის თითოეულ წიგნაკზე;
- ◆ საგარანტიო გაერთიანება მიუთითებს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა გაერთიანების გარანტიის გადაზღვევა. თუ საგარანტიო გაერთიანებასა და საბაჟო ორგანოს შეთანხმებით აუცილებელია TIR-ის წიგნაკის მიხედვით საბაჟოსათვის ასანაზღაურებელი საგარანტიო თანხების გადაზღვევა, მაშინ საგარანტიო გაერთიანებამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი.

### **TIR-კარნეტის მოქმედების სფერო საგარანტიო უზრუნველყოფის პირობებში**

<b>TIR-კარნეტით საქონლის გადაზიდვა, როგორც წესი, ხორციელდება საავტომობილო ტრანსპორტით შუალედური გადატვირთვის გარეშე.</b>
--

წევრი ქვეყნის გამომგზავნი საბაჟოდან წევრი ქვეყნის დანიშნულების საბაჟომდე საქონლის ტრანსპორტირება შესაძლებელია არა მხოლოდ საავტომობილო, არამედ საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო ტრანსპორტით. თუმცა TIR-კარნეტის აუცილებელი პირობა ის არის, რომ მთელი გზის გარკვეულ ნაწილზე საქონლის ტრანსპორტირება აუცილებლად საავტომობილო ტრანსპორტით უნდა ხდებოდეს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაუთვალისწინებელი ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, როდესაც შეუძლებელია მულტიმოდალური გადაზიდვებისას საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა TIR-კარნეტით საქონლის გადაზიდვის დროს, მხარეების საბაჟო ორგანოებმა მაინც უნდა მიიღონ TIR-ის შესაბამისი წიგნაკები და უნდა აღსრულდეს საგარანტიო უზრუნველყოფის ვალდებულებები.

TIR-კარნეტის კონვენციის მიხედვით, საავტომობილო ტრანსპორტით, მათ შორის კონტეინერებით გადაზიდვა ხორციელდება, თუ შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება აქმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. დადგენილ მოთხოვნაში იგულისხმება სატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციისა

და მოწყობილობების შესაბამისობა TIR-ის სტანდარტებთან. ამასთან, ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალება ითვლება საქონლად და მის მიმართ გამოიყენება TIR-ის შესაბამისი წიგნაკი. ეს სატრანსპორტო საშუალებები საკუთარი სვლით გადაადგილდებიან. მაგ. ავტოცისტერნები, ამწევები, მოსავლის ამლები მანქანები, ბეტონმრევები და სხვა.

## საბაჟო გადასახდელებისაგან განთავისუფლება

TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონელი თავისუფლდება საბაჟო გადასახდელებისაგან შუალედურ საბაჟოებში (საუბარია ტრანზიტულ მოძრაობაზე). ეს საქონელი თავისუფლდება აგრეთვე შესაბამისი დეპოზიტის (გარანტიის) დადებისაგან. ეს პირობები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საბაჟო გადასახდელების გადასახდელი თანხა აღემატება საგარანტიო უზრუნველყოფის თანხას.

TIR-კარნეტის კონვენციის მიხედვით, მოსაკრებელი (მათ შორის საბაჟო მოსაკრებელი) TIR-კარნეტით გადაადგილებულ საქონელზე გადახდევინებულ უნდა იქნეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

- ◆ საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაფორმების დროს, თუ ეს აუცილებელია ტრანზიტული გადაზიდვისათვის;
- ◆ საბაჟო ლაბორატორიაში ანალიზის ჩატარების დროს, თუ ეს აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის;
- ◆ საბაჟო გაფორმებისა და სხვა ოპერაციებისათვის, თუ ეს ხორციელდება არასამუშაო (ზეგანაკვეთურ) დროს ან იმ ადგილებში, სადაც არ არის განლაგებული საბაჟო ორგანო;
- ◆ ფიტოსანიტარიული და ვეტერინარიული კონტროლის განხორციელებისას.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში TIR-კარნეტით საქონელზე საბაჟო მოსაკრებელი არ უნდა იქნეს გადახდევინებული, თუ საბაჟო გაფორმება ხდება სამუშაო დროს და საბაჟო ორგანოებში.**

TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონელი, რომელიც გადაადგილდება დალუქული სატრანსპორტო საშუალებებით და კონტეინერებით, როგორც წესი თავისუფლდება საბაჟო შემოწმებისაგან შუალედურ საბაჟოებში. სიტყვები „როგორც წესი“ აღნიშნავს, რომ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს დალუქული სატრანსპორტო საშუალების შემოწმება, დათვალიერება, გასინჯვა და ა.შ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ არსებობს საფუძლიანი ეჭვი საქონელთან დაკავშირებით.

## საგარანტიო უზრუნველყოფისა და TIR-კარნეტის გაფორმების პროცედურები.

საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი მექანიზმით: ყველა ქვეყანას აქვს საგარანტიო გაერთიანებები, რომელებიც გასცემენ TIR-ის წიგნაკებს და, შესაბამისად - გარანტიებს რომელიმე წევრი ქვეყნის საგარანტიო გაერთიანების მეშვეობით. საკუთრივ TIR-კარნეტის ბლანკების წევრ ქვეყნებში შემოტანა და გატანა თავისუფლდება საბაჟო გადასახდებისაგან.

საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ გაცემულ TIR-კარნეტზე შესაბამისი თანხის საბაჟო გადასახდელები TIR-კარნეტის ოპერაციების დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, საგარანტიო გაერთიანებას ეკისრება წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დროულად გადაუხდელ საბაჟო გადასახდელებზე საურავებისა და ჯარიმების გადახდა. საბაჟო გადასახდელების

გადახდას საგარანტიო გაერთიანება ახორციელებს უშუალოდ გადასახადების გადახდაზე პასუხისმგებელ მეწარმეებთან (ექსპორტიორი, იმპორტიორი) სოლიდარულად. აქვე აღსანიშნავია, რომ საგარანტიო გაერთიანება არ იხდის ადმინისტრაციული ხასიათის ჯარიმებს, რომელიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახდელების გადავადებასა და ვადაგადაცილებულ გადაუხდელობასთან. იგი ეკისრება საქონლის გადამზიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ წევრ ქვეყანაში TIR-კარნეტის ოპერაციების დარღვევით შემოტანილია ისეთი საქონლი, რომელიც ამ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისაგან და თუ ასეთი საქონლი ექვემდებარება ადმინისტრაციულ დაჯარიმებას, მაშინ საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია გადაიხადოს ადმინისტრაციული ჯარიმები. ამასთან, საბაჟო გადასახდელების თანხა გაიზრდება ვადაგადაცილებული გადაუხდელ გადასახდელებზე შესაბამისი საურავების დარიცხვის თანხით.

საბაჟო გადასახდელების თანხა, როგორც წესი, შეზღუდულია TIR-ის თითოეულ წიგნაკზე. საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ საგარანტიო გაერთიანებებისაგან TIR-ის თითოეულ წიგნაკზე მასში დაფიქსირებული და რეალურად შემოტანილი საქონლის ადეკვატური თანხები, მაგრამ ეს თანხები არ უნდა სცილდებოდეს გარკვეულ ზღვარს. რეკომენდებულია, რომ TIR-ის თითოეულ წიგნაკზე საბაჟო ორგანომ შესაბამისი საგარანტიო გაერთიანებისაგან მოითხოვოს არა უმეტეს 50 ათასი აშშ დოლარის თანხა. ამასთან, ეს თანხა მეტია ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის შემთხვევაში. კერძოდ, ქვემოთ ჩამოთვლილი ალკოჰოლური და თამბაქოს ნაწარმის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი საგარანტიო გაერთიანებისაგან TIR-წიგნაკზე არაუმეტეს 200 ათასი აშშ დოლარი.

იმ შემთხვევაში, როცა საქონელზე რეალურად გადასახდელი საბაჟო გადასახადების თანხა აღემატება TIR-ის თითოეულ წიგნაკზე გადასახდელ მაქსიმალურ გადასახდელ თანხებს (50000 და 2000000 აშშ დოლარს), მაშინ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ამ საქონლის გაცილება მოცემული ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე. გაცილების ხარჯები უნდა აანაზღაუროს გადამზიდველმა.

შესაბამისი საგარანტიო გაერთიანება ანაზღაურებს თანხებს თითოეული TIR-ის წიგნაკის შესაბამისად. TIR-ის შესაბამის წიგნაკში ფიქსირდება საქონლის სათანადო მონაცემები (ნომენკლატურა, რაოდენობა და ა.შ.). იმისთვის, რომ საგარანტიო გაერთიანებამ აანაზღაუროს საბაჟო გადასახდელების სათანადო თანხები, მოცემული საქონელი მითითებული უნდა იყოს TIR-ის წიგნაკში. არის გამონაკლისები, როდესაც საქონელი შეიძლება არ იყოს დაფიქსირებული TIR-ის წიგნაკში და იმყოფებოდა დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაში. ამ შემთხვევაში, თუ გადაზიდვა ხორციელდება TIR-კარნეტით განსაზღვრული დარღვევებით, საგარანტიო გაერთიანება ვალდებულია აანაზღაუროს სათანადო თანხები. საბაჟო ორგანო უგზავნის შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას სათანადო დამამტკიცებელ საბუთებს, რომ საქონელი, რომელიც არ არის დაფიქსირებული, იმყოფება დალუქული სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობაში.

საბაჟო გადასახდელების თანხის განსაზღვრის დროს საბაჟო ორგანო ხელმძღვანელობს TIR-ის წიგნაკში არსებული მონაცემებით. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანო არადამაკმაყოფილებლად ჩათვლის TIR-ის წიგნაკში საქონლის შესახებ არსებულ მონაცემებს დაბეგვრის მიზნებისათვის, მას შეუძლია დაინტერესებული მხარისაგან (გადამზიდველისაგან, სადაზღვევო კომპანიისაგან და ა.შ.) მოითხოვოს დამატებითი მონაცემები. თუ არ იქნა წარმოდგენილი დამატებითი მონაცემები, მაშინ საქონელი დაიბეგვრება მაქსიმალური გადასახადის განაკვეთით, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით (იგულისხმება დაბეგვრის მომენტები, რომლებიც შესაძლოა გაითვალისწინოს კანონმდებლობამ, მაგ. წარმოშობის ქეყნის განსაზღვრა ტარიფთან მიმართებაში).

აღსანიშნავია, რომ TIR-კარნეტის მოთხოვნების თანახმად, საბაჟო ორგანოს არა აქვს უფლება პირდაპირ მიმართოს სათანადო საგარანტიო გაერთიანებას თანხების ანაზღაურების შესახებ. კონვენციით გათვალისწინებულია, რომ ვიდრე საბაჟო ორგანო მიმართავდეს საგარანტიო გაერთიანებას და წარმოადგენდეს შესაბამის სარჩელს, მან კერ შეძლებისდაგვარად უნდა წაუყენოს მოთხოვნები შესაბამის პირებს თანხების გადახდის შესახებ (გადამზიდველს, იმპორტიორს, სადაზღვევო კომპანიას და ა.შ.).

**საგარანტიო გაერთიანება, რომელიც გასცემს TIR-ის წიგნაკებს, ადგენს ამ წიგნაკების მოქმედების ვადას. მაგალითად, თუ TIR-ის წიგნაკი გაცემულია 3 თვის ვადით, ხოლო გამომგზავნმა საბაჟო ორგანომ იგი გაფორმა ვადის გასვლის ბოლო დღეს ან მანამდე, მაშინ ითვლება, რომ TIR-ის წიგნაკი ძალაშია დანიშნულების საბაჟოში TIR-კარნეტის ოპერაციის დამთავრებამდე.**

საბაჟო გადასახდელების თანხის მოთხოვნა საბაჟო ორგანოების მიერ საგარანტიო გაერთიანებებისათვის დამოკიდებულია საბაჟო გაფორმების ნიუანსებზე. TIR-კარნეტის კონვენცია ამის თაობაზე მოითხოვს საბაჟო გაფორმების შესაბამისი პროცესუალური ნორმების (პროცედურების) მქაცრ დაცვას. კერძოდ, საბაჟო ორგანოს შეუძლია საბაჟოს გაფორმება (TIR-კარნეტის გაფორმება) განახორციელოს ე.წ. „დათქმით”, ან „დათქმის გარეშე”. დათქმები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს TIR-ის წიგნაკში. დათქმა ანუ შენიშვნა უნდა ემყარებოდეს უტყუარ ფაქტებს, რაც დაკავშირებულია TIR-ის შესაბამის ოპერაციასთან. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის გაფორმება მოახდინა დათქმის გარეშე, მაშინ მას არა აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სათანადო საგარანტიო გაერთიანებას თანხის ანაზღაურების შესახებ, ერთი გამონაკლისის გარდა – თუ საბაჟო გაფორმება განხორციელდა არაკანონიერი, მოტყუებითი გზით. ეს ის შემთხვევა, როდესაც TIR-კარნეტის პრინციპით გადაზიდვაში ჩართულია კონტრანდული საქონელი, ან ცნობილი გახდა, რომ მოწოდებულია ყალბი დოკუმენტები, ლუქები და ა.შ. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო თხოვნით მიმართავს შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას, რათა ასეთი გაფორმება ჩაითვალოს უკანონოდ. ამასთან, საბაჟო ორგანოებს ეკრძალებათ ისეთი დათქმის გაკეთება, რომელიც საფუძველს მოკლებულია და მიმართულია TIR-ის კონვენციის შესაბამისი დებულებების მოთხოვნათა თავის არიდებისაკენ.

ამასთან, TIR-ის კონვენციით დადგენილია, რომ თუ საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის გაფორმება მოახდინა „დათქმით” ან საერთოდ არ მოახდინა გაფორმება, მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი თანხები, თუ ის TIR-ის წიგნაკის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში წერილობით აცნობებს ამის შესახებ საგარანტიო გაერთიანებას. ამავე დროს, თუ საბაჟო გაფორმება განხორციელებულია უკანონო ან მოტყუებითი გზებით, დოკუმენტების გაყალბებით და ა.შ., მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია საგარანტიო გაერთიანებას მიმართოს არა ერთი, არამედ ორი წლის განმავლობაში TIR-ის წიგნაკის მიღების დღიდან.

საბაჟო ორგანოს მიერ საგარანტიო გაერთიანებისადმი ერთი ან ორი წლის ვადაში ზემოაღნიშნული შესაბამისი ცნობების მიწოდებას მოსდევს საგარანტიო თანხების მოთხოვნა. კერძოდ, საგარანტიო გაერთიანებისადმი საბაჟო ორგანოს მიერ TIR-ის წიგნაკის გაფორმების, დათქმით გაფორმების ან უკანონო გაფორმების შესახებ ცნობების მიწოდებიდან არაუდრეს 3 თვისა, ხოლო არა უგვიანეს 2 წლისა საბაჟო ორგანო უგზავნის მოთხოვნას შესაბამის საგარანტიო გაერთიანებას თანხების ანაზღაურების შესახებ. თუ მიცემულ საქონელზე საქმე შესულია სასამართლოში და გასულია ზემოაღნიშნული 2-წლიანი ვადა, მაშინ საგადახდო მოთხოვნა საგარანტიო გაერთიანებას წარედგინება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს. საგარანტიო გაერთიანებამ გადახდის მოთხოვნის მიღებიდან 3 თვის განმავლობაში უნდა აუნაზღაუროს სათანადო საგარანტიო ვალდებულებები შესაბამის საბაჟო ორგანოს.

არა მარტო საბაჟოს შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი თანხების ანაზღაურება, არამედ საგარანტიო გაერთიანებებსაც შეუძლიათ დაიბრუნონ გადახდილი თანხები. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ საბაჟო ორგანოების მიერ საგადასახადო მოთხოვნის წარდგენილან ორი წლის განმავლობაში საგარანტიო გაერთიანება აქეთ წარმოუდგენს საბაჟო ორგანოს დამამტკიცებულ დოკუმენტებს TIR-კარნეტის ოპერაციების დაურღვევლობის შესახებ. ამ შემთხვევაში კონვენცია საურავების და ჯარიმების გადახდის საბაჟო ორგანოს მხრიდან არ ითვალისწინებს.

**TIR-ის წიგნაკის გამოყენება სატრანსპორტო საშუალებების და კონტეინერების დროებითი შემოტანის დროს**

TIR-კარნეტის პრინციპებით საქონლის გადაადგილების დროს, სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერებისათვის, რომლებიც განკუთვნილია საქონლის გადაზიდვისათვის, არ გამოიყენება საგადასახადო გარანტიები. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოებს TIR-ის წიგნაკის შესაბამის ფურცლებში შეაქვთ საიდენტიფიკაციო მონაცემები შემოსული სატრანსპორტო საშუალებების და კონტეინერების შესახებ. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს აკონტროლოს შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებების და კონტეინტერების გატანის პროცედურა.

**TIR-ის წიგნაკის შესაბამისი ფურცლები, რომლებშიც დაფიქსირებულია სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერების სადენტიფიკაციო მონაცემები, უნდა დარჩეს ტრანზიტის ქვეყნის შემოსავლებლ და გასასვლელ საბაჟო ორგანოებში, რაც იძლევა სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) გადაადგილების კონტროლის საშუალებას.**

კერძოდ, თუ სატრანსპორტო საშუალებები ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად განადგურდა, მაშინ მასზე არ გადაიხდევინება საბაჟო გადასახდელები. იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალება დაიკარგა, მაშინ გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია სათანადო გადასახდების სახით<sup>1</sup>.

**TIR-ის წიგნაკის გამოყენების პროცედურები გამომგზავნ და დანიშნულების საბაჟო ორგანოებში**

**TIR-ის წიგნაკი გაიცემა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან თითოეულ კონტეინერზე. ერთი TIR-ის წიგნაკი ერთ გადაზიდვაზეა მოქმედი.**

მიუხედავად ამისა, TIR-ის წიგნაკი შეიძლება გაიცეს სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობაზე ან იმ კონტეინერებზე, რომლებიც ერთ ან რანდენიმე სატრანსპორტო საშუალებაშია ჩატვირთული. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ TIR-ის წიგნაკის სატრანსპორტო მანიფესტში მითხვდული უნდა იყოს თითოეული სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერების შემადგენლობაში არსებული საქონელი.

შესაძლებელია, რომ TIR-ის წიგნაკის სატრანსპორტო მანიფესტში დაფიქსირებული და კონტეინერებში რეალურად არსებულ საქონელს შორის იყოს უმნიშვნელო განსხვავება, რაც არ ითვლება TIR-კარნეტის პრინციპების დარღვევად. ამდენად, ეს მომენტი საბაჟო ორგანოს მხრიდან არ უნდა

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ გადამზიდველის მისამართი მითითებულია TIR-ის წიგნაკში.

**იქცეს საბაჟო გაფორმების შეფერხების საფუძვლად (ან TIR-ის ოპერაციების დარღვევების საფუძვლად).**

TIR-ის წიგნაკით საქონლის გადაზიდვა ხორციელდება გამომგზავნ და დანიშნულების საბაჟო ორგანოებს შორის. გამომგზავნი და დანიშნულების საბაჟო ორგანო შეიძლება იყოს ორზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს ოთხისა. ეს სიტუაცია შემდეგი გარემოებით არის განპირობებული: კერძოდ, სატრანსპორტო საშუალებებში, კონტეინერებში ან სასაქონლო პარტიაში შეიძლება იმყოფებოდეს საქონელი, რომელიც:

- ◆ გამოგზავნილია ერთი ან ორი ქვეყნის ექსპორტიორის მიერ და განკუთვნილია ორი ან სამი ქვეყნის იმპორტიორისათვის;
- ◆ გამოგზავნილია ორი ან სამი ქვეყნის ექსპორტიორის მიერ და განკუთვნილია ერთი ან ორი იმპორტიორი ქვეყნისათვის;
- ◆ გამოგზავნილია ორი ექსპორტიორი ქვეყნის მიერ და განკუთვნილია ორი იმპორტიორი ქვეყნისათვის.

ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად, სატრანზიტო ქვეყნის გასასვლელი ორგანო არ შეიძლება ჩაითვალოს დანიშნულების საბაჟო ორგანოდ (თუმცა შეიძლება იყოს გამონაკლისი). ამასთან, როდესაც მრავალი გამომგზავნი (ან ერთი გამომგზავნი) და მრავალი მიმღებია, მაშინ ხდება იმ საქონლის გადმოტვირთვა დანიშნულების საბაჟო ორგანოში, რომელიც მოცემული ქვეყნის იმპორტიორისთვის არის გათვალისწინებული. დარჩენილი საქონელი მიემართება მეორე დანიშნულების საბაჟოში. ამ შემთხვევაში ხელახლა უნდა მოხდეს ლუქების და ბეჭდების დადება და ეს ოპერაცია უნდა აისახოს TIR-ის წიგნაკსა და სატვირთო მანიფესტში. ამასთან, საქონელი ისე უნდა იყოს მოთავსებული და განლაგებული კონტეინერებსა და სატრანსპორტო საშუალებებში, რომ თავისუფლად მოხდეს ამ საქონლის გადმოტვირთვა პირველი დანიშნულების საბაჟო ორგანოში.

**საქონლის და სარტანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) წარდგენა თავდაპირველად ხდება გამომგზავნ საბაჟო ორგანოში. გამომგზავნ საბაჟო ორგანოს წარედგინება აგრეთვე TIR-ის სათანადო წიგნაკი. შესაბამისად, გამომგზავნი საბაჟო ორგანო ახორციელებს საბაჟო კონტროლს, ადგებს ლუქებს და ბეჭდებს და ატარებს საბაჟო გაფორმების იმ პროცედურებს, რაც მიღებულია მოცემულ ქვეყანაში.**

საბაჟო გაფორმების პროცესში უმნიშვნელოვანესი ყურადღება ეთმობა TIR-ის წიგნაკთან ერთად წარმოდგენილ სატვირთო მანიფესტის შემოწმებას. გამომგზავნმა საბაჟო ორგანომ დეტალურად უნდა შეამოწმოს, ემთხვევა თუ არა სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული მონაცემები საქონელგამყოლ დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და შესაბამისად – სატვირთო მანიფესტსა და სხვა დოკუმენტებში არსებული მონაცემები რამდენად შეესაბამება სატრანსპორტო საშუალებებში (კონტეინერებში) მოთავსებული საქონლის სათანადო რეკვიზიტებს. როდესაც მონაწილე ქვეყანა წარმოადგენს სატრანზიტო ქვეყანას TIR-კარნეტით გადასაზიდი ტვირთებისათვის, მაშინ მოცემული ქვეყნის შემოსასვლელ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დააწესოს ტრანზიტის ვადა ანუ დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში საქონელმა უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია. ასეთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდა მოითხოვოს არა საგარანტიო ორგანიზაციისაგან, არამედ TIR-ის წიგნაკის მფლობელის ან შესაბამისი დამნაშავე პირისაგან.

**საბაჟო კონტროლი TIR-კარნეტის პრინციპებით გადაადგილებული საქონლის დროს ხორციელდება ყველა შუალედურ საბაჟო ორგანოში. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია თავისუფლად დათვალიეროს ან შეამოწმოს საქონელი იმ სატრანსპორტო საშუალებებში, რომლებსაც არა აქვს ლუქი და ბეჭდი.**

იმ შემთხვევაში, თუ TIR-კარნეტის ოპერაციები დარღვევით არის გაკეთებული, გასასვლელ საბაჟო ორგანოს, თუ ამ საბაჟო ორგანოს გავლით ხორციელდება მომდევნო სატრანზიტო ქვეყანაში საქონლის შეტანა, უფლება აქვს უკან დაბრუნოს გადამზიდველი იმ ქვეყნის გასასვლელ საბაჟო ორგანოში, საიდანაც მოცემულ ქვეყნაში შემოტანილ იქნა საქონელი. გადამზიდველის უკან დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისი გასასვლელი საბაჟო ორგანო აკეთებს გარკვეულ ჩანაწერს იმ საბაჟო ორგანოსათვის, რომელმაც დაარღვია TIR-ის წესები.

**მაგალითი.** საქონელი მოდის თურქეთის გასასვლელი საბაჟოდან აზერბაიჯანის შემოსასვლელი საბაჟოსათვის, საქართველოს გავლით. თუ თურქეთის გასასვლელმა საბაჟომ დაარღვია TIR-ის წესები და საქონელი შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ საქართველოს გასასველ საბაჟო ორგანოს (წითელი ხიდი) უფლება აქვს დაბრუნოს გადამზიდველი თურქეთის გასასვლელ საბაჟოში და მისცეს შესაბამისი ჩანაწერი).

იმ შემთხვევაში, თუ TIR-კარნეტით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებები დალუქულია და არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მასში მოთავსებულ საქონელზე, მაშინ მოცემული ქვეყნის საბაჟო ორგანო ცნობს შესაბამის ლუქებსა და ბეჭდებს. ამასთან, შესაბამისი ლუქი და ბეჭედი არ უნდა იყოს დაზიანებული. მოცემულ შემთხვევაში, შუალედურ საბაჟო ორგანოს უფლება აქვს დამატებით დაადოს საკუთარი ლუქი და ბეჭედი შესაბამის სატრანსპორტო საშუალებას (კონტეინერს).

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საბაჟო კონტროლი განახორციელოს TIR-კარნეტით გადაადგილებულ საქონელზე გადაადგილების პროცესშიც (გზაში). მოაცილოს სატრანსპორტო საშუალებას დადებული ლუქი და ბეჭედი და დაადოს საკუთარი საიდენტიფიკაციო საშუალებები. მასთან, ამ პროცედურის შესახებ შესაბამისი მინიშნება უნდა გააკეთოს საბაჟო ორგანომ TIR-ის წიგნაკის შესაბამის ფურცლებზე.

**TIR-ის წიგნაკის მოქმედება ჩერდება გზის იმ მონაკვეთზე, რომელიც ეკუთვნის TIR-ის კონვენციის არამონაწილე ქვეყანას და აღდგება TIR-ის კონვენციის მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე იმ პირობით, თუ ლუქები, ბეჭდები და შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნები დარღვეული არ არის. ამასთან დასაშვებია, რომ TIR-ის წიგნაკში მითითებული თავდაპირველი დანიშნულების ქვეყანა შეიცვალოს სხვა დანიშნულების ქვეყნით.**

დანიშნულების საბაჟოში საქონლის წარმოდგენისთანავე, საბაჟო ორგანომ უნდა განახორციელოს TIR-ის წიგნაკის დაუყოვნებლივი გაფორმება და დაბრუნება გადამზიდველისათვის. საბაჟო გაფორმების დროს დასაშვებია, რომ ერთ სატრანსპორტო ოპერაციაზე ორი TIR-ის წიგნაკი იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სატრანსპორტო პროცედურების სიმრავლის გამო TIR-ის წიგნაკის მოსახევი ფურცლები საკმარისი არ არის.

აღსანიშნავია, რომ მძიმეწონიანი ან დიდგაბარიტიანი ტვირთების გადაზიდვა შეიძლება განახორციელდეს დაულუქავი სატრანსპორტო საშუალებებით (ლია კონტეინერებით). ამ შემთხვევაში, გამომგზავნისა საბაჟო ორგანომ უშუალოდ საქონელს უნდა დაადოს შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშანი (ბეჭედი, დამღა და ა.შ.). ამასთან, TIR-ის წიგნაკის გარეკანსა და შესაბამის ფურცლებზე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დიდი შრიფტით უნდა იყოს აღნიშნული მძიმე და დიდგაბარიტიანი ტვირთების შესახებ.

**შუალედური საბაჟო ორგანოები ცნობენ შესაბამისი მონაწილე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ დადებულ ლუქებს, ბეჭდებს და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებს. ამას გარდა,**

**ზემოაღნიშნული მძიმეწონიანი დადიდგაბარიტიანი ტვირთების შემთხვევაში, შუალედურ საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ დაადონ სათანადო საქონელს საიდენტიფიკაციო საშუალებები.**

### **დავტის დარეგულირება TIR-კარნეტის გამოყენების პირობებში**

TIR-კარნეტის კონვენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებს შორის ტრანზიტის ოპერაციის განხორციელების დროს შესაძლებელია წარმოიშვას გარკვეული უთანხმოებები და გაურკვევლობები. ეს დავები უნდა გადაიჭრას მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ კონვენციის შესაბამისი მუხლებისა და დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა, მაშინ ერთ-ერთი მხარის თხოვნით საქმე გადაეცემა საარბიტრაჟო სასამართლოს. დავის თითოეულ მონაწილეს დაეგზავნება მოთხოვნა მათ მიერ დასანიშნი არბიტრის შესახებ. თუ დავის მონაწილე მხარემ მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის ვადაში არ დანიშნა თავისი არბიტრი, მაშინ დავის მონაწილეს უფლება აქვს მიმართოს თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რათა მან დანიშნოს შესაბამისი არბიტრი. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეების მიერ დანიშნული არბიტრები ვერ ირჩევენ თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში გაეროს გენერალური მდივანი უფლებამოსილია დანიშნოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ ადგენს თავისი მუშაობის წესებს და საქმის განხილვის პროცედურებს. მას გადაწყვეტილება გამოაქვს ხმათა უმრავლესობით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად დავაში მონაწილე მხარეებისათვის.

## 2. ტრანზიტის ძირითადი პროცედურები

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გამშვებ პუნქტზე) შემოტანის დროს ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

- ◆ საქონლის წარდგენა შემოსვლის საბაჟო გამშვებ პუნქტზე;
- ◆ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება;
- ◆ „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის” გამოწერა.

### 2.1. საქონლის წარდგენა შემოსვლის/გასვლის საბაჟო გამშვებ პუნქტზე

გაგზავნის საბაჟო ორგანოდან (შემოსვლის საბაჟო გამშვები პუნქტი) დანიშნულების საბაჟო ორგანოში (გასვლის საბაჟო გამშვები პუნქტი) საქონელი და ყველა აუცილებელი დოკუმენტი უზდა წარედგინოს სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლების, განსაზღვრული საბაჟო მარშრუტისა და გადაზიდვის პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შემოსვლის დროს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება და გამოიწერება აღრიცხვის მოწმობა ან წარედგინება TIR-კარნეტი (TIR-კარნეტის ქვეშ საქონლის ტრანზიტით გადაზიდვის წესები იხ. 3.1 თავში). ტრანზიტის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით ხდება მხოლოდ მიღსაღენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება, ასევე საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის დეკლარირება (გარდა კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა).

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადაადგილდება საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხვის მოწმობით, დეკლარანტის ან/და გადამზიდველის მოთხოვნით შეიძლება განთავსებულ იქნეს საბაჟო საწყობში (დროებითი შენახვის საწყობში) საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში ან დროებითი შენახვის პირობით. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებითი შენახვის საწყობში განთავსების დროს დეკლარანტის მიერ საბაჟო ორგანოს წარედგინება „განაცხადი“ დროებითი დასაწყობების შესახებ, ხოლო აღრიცხვის მოწმობა მოიხსნება საბაჟო კონტროლიდან. შესაბამისად, ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის გადაადგილება დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიმართულებით განახლდება დროებით დასაწყობების შესაბამისი ვადის ფარგლებში ახალი მოწმობის გამოწერით.

ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის მიმართ, რომელიც წარედგინება დანიშნულების (გასვლის) საბაჟო ორგანოს, ხორციელდება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

- სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარდგენა (თუ ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით) და საქონლის ფაქტობრივი გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- საქონლის ფაქტობრივი გატანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ შესაბამისი მოწმობის საბაჟო კონტროლიდან მოხსნით (თუ საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებული არ არის);
- საქონლის მოთავსება დროებითი შენახვის საწყობში და დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მისი ფაქტობრივი გატანა ზემოაღნიშნული პუნქტების შესაბამისად;
- საქონლისათვის სხვა საბაჟო დამუშავების ოპერაციის შერჩევა (მაგ. დასაწყობება);
- TIR-კარნეტის წარდგენა საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად.

დანიშნულების საბაჟოში დროებითი შენახვის საწყობში საქონლის წარდგენისთანავე საბაჟო საწყობის მფლობელი აკეთებს სათანადო აღნიშვნას მოწმობის უკანა გვერდზე, თარიღის, დროისა და

ხელმოწერის მითითებით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში - ბეჭდის დასმით). აღნიშნული ქმედება ითვლება საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენად. ზემოაღნიშნული პროცედურის შემდეგ მებაჟის მიერ ხორციელდება მოწმობის კონტროლიდან მოხსნა საქონლის წარდგენიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, რომელიც გადადგილდება გაგზავნის საბაჟოდან, პირდაპირ წარედგინება დანიშნულების საბაჟო ორგანოს სატვირთო-საბაჟო დეპლარაციასთან ერთად, საქონლის წარდგენად ჩაითვლება აღრიცხვის მოწმობის წარდგენა საბაჟო ორგანოში, რომელიც დასტურდება საბაჟო მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით, თარიღითა და დროით.

სატვირთო-საბაჟო დეპლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების დანიშნულების საბაჟო ორგანოში წარდგენის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელება შემდეგი საბაჟო პროცედურები:

- სატვირთო-საბაჟო დეპლარაციის რეგისტრაცია;
- სატვირთო-საბაჟო დეპლარაციის მონაცემების შეცვლა საბაჟო ორგანოს მიერ შესაბამისი მონაცემების უზუსტობის დადგენამდე;
- სატვირთო-საბაჟო დეპლარაციისა და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება;
- სატვირთო-საბაჟო დეპლარაციის ბათილად ცნობა ან მიღება;
- საიდენტიფიკაციო საშუალებების (მათ შორის საბაჟო საზღვარზე დადებული საიდენტიფიკაციო საშუალებების – ლუქის და სხვა) შემოწმება;
- საქონლის საბაჟო დათვალიერება (საქონელი საბაჟო მოხელის გადაწყვეტილებით დათვალიერდება სრულად და/ან შერჩევით და/ან საერთოდ არ დათვალიერდება);
- ფიტო და/ან ვეტერინარიული კონტროლი;
- საჭიროების შემთხვევაში სინჯებისა და/ან ნიმუშების აღება დეპლარანტის ან საბაჟო ორგანოს მოთხოვნით;
- გადაწყვეტილების მიღება მებაჟის მიერ საქონლის გაშვების ან არგაშვების შესახებ.

საქონლის არგაშვებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს დეპლარანტი ვალდებულია საქონელი განათავსოს დროებითი შენახვის საბაჟო საწყობში, ხოლო გაშვების შემთხვევაში საქონელი გადაეცემა დეპლარანტს საბაჟო ტერიტორიიდან განკარგვისათვის, რაც დასტურდება სატვირთო-საბაჟო დეპლარაციაში შესაბამისი შტამპის დასმით: „გაშვება ნებადართულია“. შტამპზე ხელს აწერს მებაჟე, უსვამს მას თარიღს და დროს.

## 2.2. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დეკლარირება

ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის სასაზღვრო საბაჟო ორგანოში შემოსვლის დროს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება და გამოიწერება აღრიცხვის მოწმობა ან წარედგინება TIR-კარნეტი. ტრანზიტის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით ხორციელდება მხოლოდ:

- ♦ მიღსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება;
- ♦ საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის (გარდა კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა) დეკლარირება.

საბაჟო რეჟიმის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლისას, ან საქონლის გადამისამართებისას საქონლის დეკლარირება ხდება იმ საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ხდება საბაჟო რეჟიმის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლა, ან საქონლის გადამისამართება. TIR-კარნეტის წიგნაკით გადაადგილებული ტრანზიტული საქონლის შესაბამის საბაჟო ორგანოში დეკლარირების დროს სატვირთო საბაჟო დეკლარაციად ითვლება TIR-კარნეტის წიგნაკი, ხოლო TIR-კარნეტის წიგნაკის არქონის შემთხვევაში – სატრანსპორტო ზედდებული, საპარო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის დროს (გარდა საზღვაო ტრანსპორტით გასატანი კონტეინერებში და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა), აგრეთვე სხვა დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება შემდგომი გადაზიდვისათვის და/ან შეიცავს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემებს. საბაჟო საწყობიდან საქონლის ტრანზიტით გადაადგილების შემთხვევაში, დეკლარაციის ნაცვლად გამოიწერება „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა“ (გარდა საზღვაო ტრანსპორტით ტრანზიტით გასატანი კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა). მიღსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებულ, ასევე საზღვაო ტრანსპორტით საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონელზე (გარდა კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებულისა) წარმოდგენილ უნდა იქნეს დეკლარაცია.

ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში გაცხადებული საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან მოხსნა, ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოში, საიდანაც ხდება საქონლის საბაჟო საზღვრის გარეთ გატანა (დანიშნულების საბაჟო ორგანო), ხოლო საბაჟო რეჟიმის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლისას, ან საქონლის გადამისამართებისას – იმ საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ხდება საბაჟო რეჟიმის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლა ან საქონლის გადამისამართება.

დეკლარაციის ძირითადი ფურცლით შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ ერთი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელი, რომელიც საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომერკლატურაში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყნაში. დეკლარაციის ერთ დამატებით ფურცელში შეიძლება გაცხადდეს ცნობები სამი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელზე და რომელთაგან თითოეული მათგანი სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყნაში. საქონლის ერთ დეკლარაციაში დეკლარირებისას მის ძირითად ფურცელს შეიძლება დაერთოს არა უმეტეს 33 დამატებითი ფურცლისა და ერთი დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს არა უმეტეს 99 დასახელების საქონელი. იმ შემთხვევაში თუ სასაქონლო პარტია შედგება 99-ზე მეტი დასახელების საქონლისაგან, მაშინ დეკლარაცია ივსება ყოველ მომდევნო 99 საქონელზე.

დეკლარაცია ივსება ქართულ ენაზე კომპიუტერის საბეჭდი მოწყობილობის გამოყენებით. საჭიროების

შემთხვევაში, შეიძლება დაიბეჭდოს ცისფერი ეგზემპლარი დამატებით სხვა ენაზეც. დასაშვებია დეკლარაციის უკანა გვერდის გამოყენება სხვასხვა მაკონტროლებელი ორგანოების აღნიშვნებისა და დამღებისათვის. დეკლარაციის კომპლექტი შედგება 4 სხვადასხვა ფერის (ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ორი თეთრი, ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ერთი ყვითელი, ულტრაისფერი დაცვის მქონე გერბიანი ერთი ცისფერი) ფურცლებისაგან და ნაწილებია შემდეგნაირად:

- პირველი თეთრი გერბიანი ფურცელი რჩება საბაჟო დამუშავების საბაჟო ორგანოში;
- მეორე თეთრი გერბიანი ფურცელი საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის შემთხვევაში რჩება სასაზღვრო საბაჟო ორგანოში;
- ყვითელი ფურცელი ეგზავნება საბაჟო დეპარტამენტს;
- ცისფერი ფურცელი უბრუნდება დეკლარანტს.

დეკლარაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების მექანიზმების სწორად გამოყენებისათვის, საბაჟო სტატისტიკის წარმოებისა და საბაჟო კანონმდებლობის აღსრულებისათვის, მათ შორის, შესაბამისი საბაჟო რეჟიმის მოთხოვნების განხორციელებისათვის. დეკლარაციას უნდა დაერთოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი (იხ. 2.5 თავი), რომელიც აუცილებელია ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურებისათვის.

საბაჟო ორგანო დაუყოვნებლივ ახორციელებს წარდგენილ დეკლარაციის რეგისტრაციას, თუ უზრუნველყოფილია დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში. თუ დარღვეულია დეკლარაციის ფორმა და შევსების წესი, თანმხლები დოკუმენტები შესაბამის დარღვევაზე მითითებით დაუყოვნებლივ უბრუნდება დეკლარანტს. რეგისტრაციის მომენტიდან დეკლარაცია წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ საბუთს.

დეკლარაციის წარდგენის უფლება აქვს დეკლარანტს. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას დეკლარანტად ითვლება საქონლის მიმღები, ხოლო საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას – საქონლის გამგზავნი, რომლებიც შესაბამისად მითითებულნი უნდა იყვნენ საქონლის მფლობელის დამადასტურებელ დოკუმენტებში. დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია დეკლარაციაში მითითებული მონაცემების შეცვლა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- საბაჟო ორგანომ დაადგინა საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ქვეყნის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ დეკლარირებული მონაცემების უზუსტობა;
- საბაჟო ორგანოშ უკვე გაუშვა საქონელი.

საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარაციის (აგრეთვე თანდართული საბუთებისა და ცნობების) მიღება რეგისტრირდება სპეციალურ რეგისტრაციის ჟურნალში და ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი.

### 2.3. ტკირთის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საზღვარზე შემოტანის, ასევე საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილების დროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (იხ. დანართი №7.2). აღრიცხვის მოწმობით ხორციელდება:

- საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეესტრირებისთვის შემოტანის 10 დღემდე ვადით კონტროლი და აღრიცხვა;
- საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის საბაჟო რეჟიმით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა (გარდა ცარიელი სატრანსპორტო საშუალებებისა);
- საბაჟო გაფორმების შემდეგ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;
- საბაჟო საზღვრის გადმომკვეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, თუ მათი საბაჟო გაფორმება არ ხდება საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო საგუშაგოზე;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ორ სხვადასხვა საბაჟო კონტროლის ზონას შორის გადაადგილებული საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებული ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა საზღვაო და საპატიო ტრანსპორტზე საქონლის გადატვირთვისას;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალებებიდან საქონლის ნაწილის გადმოტვირთვის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებებში დარჩენილი და გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;
- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის ქვეშ სხვა საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა;
- შემოსული ცარიელი კონტეინერების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა.

აღრიცხვის მოწმობა არ გამოიწერება:

- ◆ მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისათვის გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, თუ ისინი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ასრულებენ რეგულარულ რეისებს;
- ◆ ცარიელ სარკინიგზო შემადგენლობაზე, საქართველოში რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე და უცხოეთში რეგისტრირებულ ცარიელ სატრანსპორტო საშუალებებზე (გარდა ცარიელი კონტეინერებისა);
- ◆ TIR წიგნაკით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა საზღვაო პორტიდან ათი კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში TIR-კარნეტით გადაადგილებული საქონლისა;
- ◆ მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებულ საქონელზე.

აღრიცხვის მოწმობის გამოწერას ახორციელებს გამგზავნი საბაჟო ორგანო. საზღვაო გზით საბაჟო საწყობში გადაადგილებულ საქონელზე დეკლარანტი წინასწარ გამოწერს მოწმობას და წარუდგენს საბაჟო ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არის ცნობილი შესაბამისი კონტეინერების გადამადგილებელი სატრანსპორტო საშუალებების რეკვიზიტები, საბაჟო მოხელეს ხელით შეაქვს ეს რეკვიზიტები საქონლის საზღვაო პორტიდან გასვლის დროს. საზღვაო პორტიდან საბაჟო საწყობში საქონლის შესვლის დროს საწყობის მფლობელი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას მოწმობის უკანა გვერდზე, ხოლო მებაჟე წსნის მოწმობას კონტროლიდან და საქონლის საბაჟო საწყობიდან გასვლის

შემთხვევაში გამოწერს ახალ მოწმობას ან დროებით შენახვის პირობით საწყობში საქონლის მოთავსების დროს საბაჟო ორგანოს წარედგინება დადგენილი ფორმის განცხადი.

გამგზავნი საბაჟო ორგანო საქონლის სააგტომობილო ტრანსპორტით (მ.შ. მისაბმელით) შემოტანისას ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დამატებით სავალდებულო დალუქვას ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის კონტროლის გაძლიერების მიზნით. საბაჟო ორგანოს მიერ დამატებითი ლუქის დადება სხვა ქვეყნის მიერ დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაზე არ იწვევს საბაჟო ორგანოს შესაბამისი მოხელის პასუხისმგებლობას დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემების საფუძველზე შევსებული მოწმობის სათანადო მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან სიზუსტის მიმართ. მოწმობის უკანა გვერდზე დაიტანება საქართველოს რუკა, სადაც აღნიშნული იქნება საბაჟო გამშვები პუნქტები, ასევე ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე პასუხისმგებელი პირის, საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი უფლება-მოვალეობების ჩამონათვალი.

მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ხორციელდება დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიერ, სადაც მთავრდება საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ან გადაადგილებაზე კონტროლი ან სადაც მოხდა საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა ან გადამისამართება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმობაში დაფიქსირებული დანიშნულების საბაჟო ორგანოს ნაცვლად საქონლი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო საზღვარს კვეთს სხვა საბაჟო ორგანოში ან სხვა საბაჟო ორგანოში ხორციელდება ნებისმიერ საბაჟო რეჟიმში საბაჟო დამუშავების ოპერაცია, მაშინ მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ხორციელდება დაინტერესებული პირის (გადამზიდავის, მესაკუთრის) მოტივირებული განცხადებითა და ამ საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოსთან შეთანხმებით.

## **2.4. ტრანზიტის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები**

საბაჟო კონტროლის ან/და საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებისათვის, შესაბამისი საბაჟო რეჟიმის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურებისათვის საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს დოკუმენტები, რომლებიც წარმოადგენენ ნებისმიერი საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურების დაწყების საფუძველს და საჭირო დოკუმენტები საქონლის სახეობის, მისი გადაადგილების ფორმისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციის შესაბამისად.

საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმში მოქცევის დროს დეკლარანტის მიერ წარსადგენი დოკუმენტებია:

### **1. შემოსვლის საბაჟო გამშვებ პუნქტში:**

- ◆ საქონლის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი - მინდობილობა ან ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი (ზედებული ან კონოსამენტი ან ანგარიშ-ფაქტურა (ან ნებისმიერი საანგარიშსწორებო დოკუმენტი) ან ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტი);
- ◆ საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი);
- ◆ ფიტო ან/და ვეტ სერტიფიკატი;
- ◆ ვეტ ნებართვა;
- ◆ სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია;
- ◆ საქონლის ტრანზიტის ნებართვა;
- ◆ სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

### **2. გასვლის საბაჟო გამშვებ პუნქტში:**

- ◆ საბაჟო გარანტია (ან TIR-ის წიგნაკი);
- ◆ აღრიცხვის მოწმობა;
- ◆ სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

## 2.5. საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადები

საბაჟო პროცედურების განხორციელების ცალკეული შემთხვევებისათვის დადგენილია საბაჟო გადაწყვეტილების მიღების შემდეგი მაქსიმალური ვადები:

- ◆ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოწერა/მოხსნა – 1 საათის განმავლობაში;
- ◆ წერილობითი ფორმით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება – 2 საათის განმავლობაში;
- ◆ წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს – განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ;
- ◆ განხილვის შედეგების მიხედვით, თუ დაცული არ არის საბაჟო დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი, დეკლარაციისა და თანმხლები დოკუმენტების დეკლარანტისათვის დაბრუნება – განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ;
- ◆ საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება და გამოკვლევისათვის გაგზავნა – არაუმტეს 2 საათისა;
- ◆ საქონლის გაშვება (საბაჟო დეკლარაციის საბაჟო კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემთხვევაში) – დეკლარაციის შემოწმების დასრულებისთანავე დაუყოვნებლივ.

თუ ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ფერწდება სასაზღვრო საბაჟო ორგანოდან დროებითი დასაწყობების ადგილზე ან დანიშნულების საბაჟო ორგანოში საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით გათვალისწინებულ ვადაში საქონლის წარდგენა, პირმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს და წარუდგინოს მას სათანადო მტკიცებულებები.

შექმნილ სიტუაციაში გარკვევის შემდეგ, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ამ ფაქტს აფიქსირებს აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდზე, სათანადო ჩანაწერით, ამასთან დებულობს გადაწყვეტილებას, საქონლის მიმართ განსახორციელებლი შემდგომი ქმედებების თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის დარღვევისათვის, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

**მითითებული ვადების ათვლა იწყება შესაბამისი მოქმედებების განხორციელების მეორე დღიდან.**

### **3. მირითადი სატრანზიტო მარშრუტები**

სატრანზიტო მარშრუტზე არსებული რიკოთის გვირაბით სარგებლობის მოსაკრებელი: მსუბუქი ავტომანქანებისა და 30 ადგილამდე ტევადობის ავტობუსებისათვის ერთ გასვლაზე – 1 ლარი, 10 ტონამდე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანებისათვის – 2 ლარი, ხოლო 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებისა და 10 ტონამდე მეტი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანებისათვის – 3 ლარი.

#### **3.1. ფოთი – წითელი ხიდი (საავტომობილო)**

სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 401 კმ.

სატრანზიტო მარშრუტის გზების ნომრები – ს1+ს2+ს9+ს4 (იხ. რუკა).

ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე: ფოთი – თეკლათი – სენაკი – სამტრედია – ქუთაისი – ზესტაფონი – ხაშური – ქარელი – გორი – ზაჰესი – რუსთავი – წითელი ხიდი.

#### **3.2. სარფი – წითელი ხიდი (საავტომობილო)**

სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 463 კმ.

სატრანზიტო მარშრუტის გზების ნომრები – ს12+ს1+ს9+ს4 (იხ. რუკა).

ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე: სარფი – ქობულეთი – გრიგოლეთი – ლანჩხუთი – საჯავახო – სამტრედია – ქუთაისი – ზესტაფონი – ხაშური – ქარელი – გორი – ზაჰესი – რუსთავი – წითელი ხიდი.

#### **3.3. ვალე – წითელი ხიდი (საავტომობილო)**

სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 283 კმ.

სატრანზიტო მარშრუტის გზების ნომრები – ს8+ს1+ს9+ს4 (იხ. რუკა).

ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე: ვალე – ახალციხე – ბორჯომი – ხაშური – ქარელი – გორი – ზაჰესი – რუსთავი – წითელი ხიდი.

#### **3.4. ბათუმი – სადახლო (საავტომობილო)**

სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 469 კმ.

სატრანზიტო მარშრუტის გზების ნომრები – ს12+ს1+ს9+ს6+ს7 (იხ. რუკა).

ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე: ბათუმი – ქობულეთი – გრიგოლეთი – ლანჩხუთი – საჯავახო – სამტრედია – ქუთაისი – ზესტაფონი – ხაშური – ქარელი – გორი – ზაჰესი – რუსთავი – ფონიჭალა – მარნეული – სადახლო.

### **3.5. ყაზბეგი – სადახლო (საავტომობილო)**

**სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 245 კმ.**

**სატრანზიტო მარშრუტის გზების ნომრები – ს3+ს9+ს6+ს7 (იხ. რუკა).**

**ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე:** ყაზბეგი – კობი – გუდაური – ფასანაური – ანანური – უინვალი – არაგვისპირი – ნატახტარი – ზაჟესი – რუსთავი – მარნეული – სადახლო.

### **3.6. ბათუმი – მარნეული/გარდაბანი (სარკინიგზო)**

**სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 396 კმ.**

**ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე:** ბათუმი – სამტრედია – ზესტაფონი – ხაშური – თბილისი – გარდაბანი.

### **3.7. ფოთი – მარნეული/სადახლო (სარკინიგზო)**

**სატრანზიტო მარშრუტის მანძილი – 396 კმ.**

**ძირითადი დასახლებული პუნქტები სატრანზიტო მარშრუტზე:** ფოთი – სამტრედია – ზესტაფონი – ხაშური – თბილისი – სადახლო.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სწრაფი სამგზავრო მატარებლის მიმოსვლასთან დაკავშირებული სარკინიგზო ტრანსპორტის, საქონლის, მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის გადაადგილებისას საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საბაჟო კონტროლის ზონად განსაზღვრულია საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის სწრაფი სამგზავრო მატარებელი.

#### 4. პასუხისმგებლობა საბაჟო პარომალებლობის დარღვევისათვის

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ტრანზიტის და მასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი წესების დარღვევისათვის, სამართალდამრღვევ პირებს ეკისრებათ გარკვეული სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა წარმოადგენს იძულებითი ზემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც სასჯელის სახით გამოიყენება ტრანზიტის და მასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი წესების დამრღვევთა მიმართ.

მოქმედების ან უმოქმედობის სახიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ტრანზიტის და მასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი წესების დარღვევისათვის გამოიყენება საბაჟო ჯარიმები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა სახეები.

##### 4.1. პასუხისმგებლობა საბაჟო სამართალდარღვევებზე

ტრანზიტის და მასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი წესების დარღვევისათვის, საბაჟო კოდექსის შესაბამისად, გამოიყენება პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

- საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა – იწვევს საურავის გადახდას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით;
- საქონლის დეკლარირების დადგენილ ვალებში განუხორციელებლობა – იწვევს დეკლარირებაზე ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1000 ლარით;
- საბაჟო იდენტიფიცირების საშუალებების (მაგ. ლუქის) საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე მოხსნა და განადგურება, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალებებში ან საბაჟო კონტროლის ზონაში მყოფ შენობა-ნაგებობებში შეღწევა – იწვევს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის მფლობელის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10000 ლარით;
- საბაჟო დეკლარაციაში საქონლის სახეობის, რაოდენობის, წარმოშობის ან/და საბაჟო ღირებულების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანა<sup>2</sup> – იწვევს დაჯარიმებას გადასახდელი საბაჟო გადასახდელების 25%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას საბაჟო გადასახდელების 100%-ს ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე დეკლარირებული საქონლის გადაადგილება – იწვევს დაჯარიმებას ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადელების 25%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას საბაჟო გადასახდელების 75%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1500 ლარისა;

<sup>2</sup> ისეთი მონაცემების შეტანა, რომლის სიყალბეც დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებით ან აღმრულია სისხლის სამართლის საქმე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე არადეკლარირებული საქონლის გადაკვეთა – იწვევს დაჯარიმებას ამ საქონლის იმპორტზე საბაჟო გადასახადელების 50%-სი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას საბაჟო გადასახდელების 100%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2000 ლარისა<sup>3</sup>;
- საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გახსნა, ხელმეორეებ შეფუთვა, გადატვირთვა ან გადმოტვირთვა – იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1500 ლარის ოდენობით;
- თავისუფალი ზონისათვის ან თავისუფალი საწყობისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევით საქონლის გადაადგილება ან ამ ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე საქონლის დასაწყობების, შენახვის ან აღრიცხვის წარმოების მოთხოვნების დარღვევა – იწვევს თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით;
- თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში უკანონო საწარმოო ან საგაჭრო საქმიანობა ან მომსახურება, შენობა-ნაგებობების მშენებლობა, საქონლის მოხმარება ან გამოყენება – იწვევს თავისუფალი ზონის ან თავისუფალი საწყობის მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1 000 ლარით;
- საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მ.შ. დათვალიერების ჩატარებაზე საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის კანონიერი გადაწყვეტილებისა და მოთხოვნის უგულებელყოფა, აგრეთვე საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილზე სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობა – იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2500 ლარით;
- სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელებისას საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, მოძრაობისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა – იწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 2000 ლარის ოდენობით;
- საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევა – იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ საქონელზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 10%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას ამ საქონელზე გადასახდელი თანხის 20%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა;
- საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა/გასეღა, რომელიც თან ახლავს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი პირობების დარღვევას – იწვევს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების

<sup>3</sup> როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების და საქონლის ჩამორთმევაც. გადაწყვეტილებას ამის თაობაზე იღებს საბაჟო ორგანო.

მფლობელის დაჯარიმებას ასეთ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა<sup>4</sup>;

- საბაჟო დოკუმენტაციის შენახვის ვადების დარღვევა (დოკუმენტაციის 6 წლამდე ვაღით შეუნახობა) – იწვევს დოკუმენტაციის შენახვაზე პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1000 ლარის ოდენობით;
- ავარიის, დაუძლეველი ძალისა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების დროს გასატარებელი ღონისძიებების განუხორციელებლობა, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის, ან სატრანსპორტო საშუალებების დასაცავად შესაბამისი ზომების მიუღებლობა, ასეთ გარემოებებზე საბაჟო ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეუტყობინებლობა – იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 1000 ლარის ოდენობით;
- ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის მიერ სატრანსპორტო საშუალების შემოსვლის, ან გასვლის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის შეუტყობინებლობა – იწვევს ნავსადგურის, საფოსტო სამსახურის, რკინიგზის ან აეროპორტის დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10000 ლარის ოდენობით;
- დროებითი შენახვის საწყობის, საბაჟო საწყობის ან უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა – იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, იწვევს დაჯარიმებას ყოველ შემდგომ განმეორებაზე 9 000 ლარის ოდენობით;
- დეკლარაციის ან სხვა ვალდებული პირის მიერ საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, რომელზედაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა – იწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

## 4.2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ტრანზიტის და მასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი წესების დარღვევისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, გამოიყენება პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების და საქონლის ჩამორთმევა.

- საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით<sup>5</sup> მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მაღლად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთის ვადით სამიდან ხუთ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით<sup>6</sup>, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე;
- საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიული ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. აღნიშნული სახის ქმედება, რომელიც ჩადენილია არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საბაჟო კონტროლის განმხორციელებლის მიმართ ძალადობით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერთმეტ წლამდე. იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ – ისჯება თავისუფლებით აღკვეთის ვადით თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე;
- საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე. იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის ან იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ სახის რომელიმე დანაშაული – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე. იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან ორგანიზაციული ჯგუფის მიერ – ისჯება ჯარიმით<sup>7</sup> ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.
- საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე. იგივე ქმედება, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის ან იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ სახის რომელიმე დანაშაული – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან თორმეტ წლამდე.

<sup>5</sup> დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს 3000 ლარს.

<sup>6</sup> განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებს 15000 ლარს.

<sup>7</sup> ჯარიმის ოდენობა სამართალდამრღვევი პირის მიმართ განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

## 5. აპრენდიზები და განსაკუთრებული პონტროლი

### 5.1 აკრძალვები საავტომობილო გზებით სარგებლობაზე

საავტომობილო გზებზე აკრძალულია ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების გავლა, რომელთა საგაბარიტო პარამეტრები აღემატება საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ მაჩვენებლებს ან/და თითოეულ ღერძზე დატვირთვა აღემატება 10 ტონას (ერთ წამყვანლერძიან სატრანსპორტო საშუალებაზე არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და გადასაზიდი წონა აღემატება ქარხანა-დამამზადებლის მიერ მოცემულ სატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილ ტვირთამწეობის ზღვარს ან/და მისი საერთო წონა – 44 ტონა.

ასეთი ავტომანქანების გატარება დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული პარამეტრების სათანადო კორექტირების შემდეგ. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების საგაბარიტო პარამეტრების კორექტირება შეუძლებელია ან/და ტვირთი არ ეჭვემდებარება დაშლა-დანაწილებას, მათი გატარება დაშვებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებისა და შესაბამისი რეკომენდაციების მიღების შემდეგ.

**აკრძალულია მუხლუხა და ლითონისპორბლებიანი მანქანების მოძრაობა საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე.**

სატრანსპორტო საშუალებების გასატარებლად, რომელთა ღერძული დატვირთვა და გაბარიტები აღემატება ნორმატიულს, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები დადგენილი წესით იღებენ ნებართვას და თუ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები დააზიანებენ გზის ელემენტებს, მისი მფლობელები ვალდებული არიან გადაიხადონ აღდგენის გადასახადი.

საქართველოს საავტომობილო გზებზე მოძრაობა ნებადართულია შემდეგი სიჩქარეებით:

- დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ნებადართულია არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით;
- დაუსახლებელ პუნქტებში ნებადართულია მოძრაობა:
  - ✓ მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3,5 ტონას, ავტომაგისტრალზე – არა უმეტეს 110 კმ/სთ, სხვა გზებზე – არა უმეტეს 90 კმ/სთ სიჩქარით;
  - ✓ საქალაქთაშორისო და მცირე ზომის ავტობუსისა ყველა გზაზე – არა უმეტეს 80 კმ/სთ სიჩქარით;
  - ✓ მსუბუქი ავტომობილის მისაბმელის ბუქსირებისას, სხვა ავტობუსისა და სატვირთო ავტომობილისა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა აღემატება 3,5 ტონას, ავტომაგისტრალებზე – არა უმეტეს 80 კმ/სთ, სხვა გზებზე – არა უმეტეს 70 კმ/სთ სიჩქარით;
  - ✓ ძარით მგზავრთა გადამყვანი სატვირთო ავტომობილისა – არა უმეტეს 60 კმ/სთ სიჩქარით;
  - ✓ ისეთი სატრანსპორტო საშუალებებისა, რომლებსაც გადააქვთ საშიში, მძიმეწონიანი და მსხვილგაბარიტიანი ტვირთი – არა უმეტეს იმ სიჩქარისა, რომელიც გათვალისწინებულია გადაზიდვის პირობებით.

## **5.2. აკრძალვები ზოგიერთი სახეობის საქონლის გადაადგილებისას**

საქართველოს საბაჟო საზღვარზე აქციზური საქონლის გადაადგილება (თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, ნავთობპროდუქტები) ხორციელდება მხოლოდ შემდეგი საბაჟო გამშვები პუნქტების მიმართულებით:

- „ყაზბეგი”;
- „წითელი ხიდი”;
- „სადახლო”;
- „გარდაბანი”;
- „სარფი”;
- „ვალე”;
- „ფოთის პორტი”;
- „ბათუმის პორტი”;
- „თბილისის აეროპორტი”.

სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო და სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა არ განხორციელდეს სასაზღვრო-საბაჟო ორგანოების - „ახტერპი”-ს, „გუგუთი”-ს, „მტკვრი”-ს, „სამთაწყარო”-ს გავლით.

## **5.3. ზოგიერთი სხვა სახის აკრძალვა**

**აკრძალულია** საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დეკლარაციის შევსება ან დეკლარაციაში მონაცემების დამატება ან მასში მონაცემების შეცვლა, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა შეტანა განეკუთვნება საბაჟო ორგანოს კომპეტენციას, აგრეთვე ელექტრონული დამუშავების დროს გამოყენებული კოდირებული მონაცემების შეცვლის ან დამატების გარდა, თუ ისინი დეკლარაციაში შეტანილია არაკოდირებული სახით.

**აკრძალულია** საბაჟო კონტროლის ზონაში საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვა და აუცილებელი საბაჟო პროცედურების განხორციელებამდე საბაჟო კონტროლის ზონის საზღვრებს გარეთ საქონლის გატანა.

## **6. პირითად ტერმინთა განმარტებები**

**დეკლარაცია** – პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება.

**საბაჟო დეკლარირება** – მოქმედება, რომლითაც პირი საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და წესის შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენების განზრახვას.

**საბაჟო დეკლარაცია** – ღოკუმენტი, რომლითაც პირი საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი ფორმისა და საშუალების შესაბამისად აცხადებს საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენების განზრახვას.

**საქონელი** – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ნებისმიერი მატერიალური ქონება, მათ შორის, ფული, ფასიანი ქაღალდები, ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი.

**საქონლის გაშვება** – მოქმედება, რომლითაც საბაჟო ორგანო უზრუნველყოფს დეკლარაციის მიერ საქონლის განკარგვის ან/და სარგებლობის შესაძლებლობას მის მიმართ გამოყენებული საბაჟო დამუშავების ოპერაციის პირობების შესაბამისად.

**საბაჟო პროცედურები** – საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა და დათვალიერება, სათანადო ღოკუმენტების არსებობის დადგენა, ზოგადი დეკლარირება, საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და რეგისტრაცია, საბუღალტრო და სხვა ღოკუმენტაციის შემოწმება, საბაჟო გადასახდელების გადახდა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების, მგზავრის პირადი ნივთების შემოწმება, აგრეთვე საბაჟო ორგანოების ან მათი უფლებამოსილი პირების ოფიციალური მოთხოვნა ან/და ქმედება, რომლის მიზანია საბაჟო კანონმდებლობის შესრულება.

**საბაჟო ზედამხედველობა** – საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების, შეზღუდვების, აკრძალვების, მოთხოვნების ან სხვა პირობების დაცვა.

**საბაჟო კონტროლი** – საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების განხორციელება.

**საბაჟო მარშრუტი** – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებისათვის საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული მარშრუტი.

**სატრანსპორტო საშუალება** – საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ელექტროგადამცემი ხაზები, მილსადენი, კონტეინერი, მისაბმელი, ნახევრადმისაბმელი და ნებისმიერი სხვა საშუალება, რომლებიც გამოიყენება მგზავრთა გადაყვანისათვის ან/და საქონლის გადაზიდვისათვის.

**საბაჟო გარანტია** – საქონლის მესაკუთრის, მფლობელის ან გადამზიდავის მიერ საბაჟო ორგანოსთვის წერილობით ან ელექტრონული ფორმით საბაჟო ვალდებულების (გადასახდელების გადახდა, საქონლის საბაჟოზე დროული წარდგენა და სხვა) უზრუნველყოფა.

## 7. დანართები

### 7.1. ტრანზიტის დეკლარაციის ნიმუში და მისი შევსების წესი

UNCTAD / ASYCUDA

2 ცენტრი		N :		1 დეკლარაცია		A დანართების სახელი საგაფოს ქოდი:	
				3 ფრ. 1 4 ფრ.		გ/კ "შეიძლება" მართვის მომართვის ნომრი: XXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXXX სარეგისტრაციო ნომრი : თარ. :	
				5სა რაო 1		6 აღ. რაო 7 სატრანზიტო ნომრი 2005 /	
8 იავობითი		N :		9 ფრანგურ დარჩენილობაზე ვას. პირი N :			
				10 კ. გამოგ. 11 მოვაჭრი კვეყანა		12 დანართების დოკუმენტი 13 მ.მ.	
14 დეკლარაცი/ნარმალიზები		N :		15 გამომზადებული ქვეყანა		15 გ. ქ. კოდი 17 დ. ქ. კოდი	
				16 ნარმალის ქვეყანა		17 დანართების ქვეყანა	
18 სამრავლოში საშუალება დანიშნულების აღმინშევა		19 გ. 0		20 მიმღების პირობები			
21 სამრავლოში საშუალება საჭრების				22 კად და საკ. საკრ ფას. ღირ 23 კად. კურსი 24 გრიგორი ლიტი			
25 ცს ქოდი 26 სარ. სარ. კვეყანაში 27 დაბრის აღმინშევა				28 ფრანგურ და საგაფო მონაცემები, კოდი : გადახდის პირობები :			
29 საგაფო საგარეო საჭრები		30 საქმის აღმინშევარება		გაციი : ფრანგური : ფრანგური N :			
31 საქმი და რაო-ზა - კონცენტრირების N-ი - რაოვარება და სახი ნომები და N: აღმინშევა და სახი: რაო-ზა და სახი: კონცენტრირების N-ი:		32 საკ. 1 N		33 საქმის კოდი XXX XXXX XXXX			
				34 გ. ქ. კოდი 35 გრიგო (კბ) 36 მილი. 37 კვეყანა 38 ლიტ (კბ) 39 კოდი			
44 და მიმღები დანართები		45 კოდი მიმღები 1.00		40 საკრ დეკლარაციი/ნიმუში დანართები			
46 საკრ დანართები დანართები				41 კად. ფო. ღირ 42 საკ. ღირება 43 ს. ღ. კ			
47 გადა- სახ- და- გადა- მარ-		სახი დასახელი განაკვეთი მარხა ა.შ.		48 გადახლების გადავალება		49 საციფრო დასახელება	
				B დან. გამომდერიმართის			
				გადახლების სახე : სამ. : გადახლების მომართვის ნომრი : მარ. : გადახლების დარღვევი : მარ. :			
				მოსახურების სახე : დან. მოსახურების სახე : დან.			
50 პრინციპი		N		ხერმავა : C გამოვალი საგაფო			
51 მარტ. კვეყნ. საგაფ.							
52 გარანტი კადაში არა				53 დანართების საგაფო (და კვეყნა )			
D დანართების საგაფო. კონცენტრი შეღები :		გარაზი:		54 აღმინშევა და თარიღი დეკლარაციის სახელი და ხედვების სახელი და ხედვები			
ხედვები :							

## დეკლარანტის შესავსები გრაფები

1. დეკლარანტი დეკლარაციის შევსებისას ავსებს შემდეგ გრაფებს: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 15, 15-ა, 17, 17-ა, 18, 19, 21, 25, 27, 31, 32, 33, 35, 38, 40, 44, 50, 52, 53, 55.
2. გრაფა A – აღინიშნება იმ საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება, კლასიფიკატორის ნაწილი 2-ის შესაბამისად, რომელიც აწარმოებს დეკლარაციის მიღებას.
3. გრაფა 1. „დეკლარაცია” – პირველ განყოფილებაში ჩაიწერება რეჟიმის დასახელება – ტრანზიტი - ”ტრ”, მეორეში – ციფრული კოდი „8”.
4. გრაფა 2. „ექსპორტიორი” – აღინიშნება საქონლის გამომგზავნის რეგიზიტები - იურიდიული პირის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი) სახელწოდება და მისამართი.
5. გრაფა 3. „ფორმები” – პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში - დეკლარაციის ფურცლების საერთო რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ფურცლების ჩათვლით. (მაგალითად, თუ გვაქვს ერთი დეკლარაცია ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ ძირითადი ფურცლის მე-3 გრაფის პირველ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს - 1, მეორე განყოფილებაში - 3, პირველ დამატებით ფურცელში - 2 და 3, მეორეში - 3 და 3).
6. გრაფა 5. „საქონლის რაოდენობა” – მიეთითება წარდგენილ დეკლარაციაში დეკლარირებული უკანასკნელი საქონლის რიგითი ნომერი.
7. გრაფა 6. „ადგილების რაოდენობა” – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში. თუ დეკლარირდება საქონლი მიღსადენებით ან ელექტროგადამცემი ხაზებით, გრაფაში ჩაიწერება ”1”. საქონლისათვის, რომელიც გადაიზიდება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით („პოდონი”) და ა. შ., მიეთითება რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი.
8. გრაფა 7. „საცნობარო ნომერი” – აღინიშნება დეკლარანტის მიერ დეკლარაციისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
9. გრაფა 8. „იმპორტიორი” – აღინიშნება საქონლის მიმღების რეგიზიტები. თუ საქონლის მიმღები იურიდიული პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება და მისამართი; თუ საქონლის მიმღები ფიზიკური პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი.
10. გრაფა 14. „დეკლარანტი/წარმომადგენელი” – აღინიშნება დეკლარანტის სრული დასახელება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში № ნიშნის შემდეგ აღინიშნება დეკლარანტის ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი), რომელიც მინიჭებული აქვს საგადასახადო ინსპექციის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტს წარმოადგენს საბაჟო გადამზიდველი, გრაფის ქვედა ნაწილში ნაჩვენები უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული საბაჟო გადამზიდველის ნებართვის ნომერი და გაცემის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი არის საქონლის მფლობელი, მაშინ შესაძლებელია გრაფაში მიეთითოს „იხ. გრაფა 8”.
11. გრაფა 15. „გამომგზავნი ქვეყანა” – აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის ნაწილი 3-ის შესაბამისად. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა, ხოლო საბაჟო რეჟიმის შეცვლის დროს საქონლის დეკლარირებისას, გამომგზავნ ქვეყნად მიიჩნევა წინმსწრები დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული ქვეყანა.
12. გრაფა 15ა. „გამომგზავნი ქვეყნის კოდი” – აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის დანართი 3-ის შესაბამისად.
13. გრაფა 17. „დანიშნულების ქვეყანა” – მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება, კლასიფიკატორის ნაწილი 3-ის შესაბამისად.
14. გრაფა 17ა. „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის ნაწილი 3-ის შესაბამისად.

15. გრაფა 18. „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე” – მარცხნა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება დანიშნულების საბაჟო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საპარო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი, სარკინიგზო ვაგონის ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის კოდი კლასიფიკატორის ნაწილი 3-ის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება - ”იხ. უკანა გვერდზე”. დეკლარაციის ხუთივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. (მაგალითად: 23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე)

16. გრაფა 19. „კონტეინერი” აღინიშნება: თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით - 1, ხოლო კონტეინერის ნომრები მიეთითება დეკლარაციის 31-ე გრაფაში; თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით - 0.

17. გრაფა 21. „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე” – მარცხნა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საპარო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტო სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი, და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის კოდი კლასიფიკატორის ნაწილი 3-ის შესაბამისად.

18. გრაფა 25. „ტრანსპორტის სახე” – ჩაიწერება 21-ე გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის ნაწილი 10-ის შესაბამისად.

19. გრაფა 31. „საქონლის აღწერა და რაოდენობა” – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის ზუსტი მონაცემები, მათ შეფუთვასა და მარკირებაზე, რაც იძლევა საქონლის საბაჟო მიზნით იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თითოეული მონაცემი ჩაიწერება ახალი სტრიქონით. გრაფაში აღინიშნება სატვირთო ადგილების, მათი შეფუთვისა და მარკირების შესახებ მონაცემები, აგრეთვე ერთი ადგილის შემცველ საქონელთა რაოდენობის, შეფუთვის, დაფასოების, მარკირების შესახებ მონაცემები; კონტეინერებით გადაზიდულ საქონელზე მიეთითება კონტეინერების რაოდენობა და წილადის ხაზის შემდეგ - მათი ნომრები. თუ საქონელს არ უკავია მთელი კონტეინერი, მისი ნომრის შემდეგ ჩაიწერება - „ნაწილი”; აღინიშნება მარკირებულ აქციზურ საქონელზე აქციზური მარკების სერია და რაოდენობა; აღინიშნება საქონლის ზუსტი აღწერილობა: დასახელება, მისი ტექნიკური და ძირითადი კომერციული მახასიათებლები .

20. გრაფა 32. „საქონელი №” – მიეთითება 31-ე გრაფაში დეკლარირებული საქონლის რიგითი ნომერი. (მაგალითად: თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, მაშინ დეკლარაციის ძირითად ფურცელში ჩაიწერება - 1, პირველ დამატებით ფურცელზე - 2, 3, 4; მეორე დამატებით ფურცელზე - 5, 6, 7 და ა. შ.) ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება - 1.

21. გრაფა 33. „საქონლის კოდი” – აღინიშნება საქონლის კოდი საგარეო ეკონომიკური საქმი-ანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით ორ ნიშნამდე სიზუსტით სავალდებულოდ. აქციზური საქონლის დეკლარირებისას - ცხრა ნიშნამდე სიზუსტით.

22. გრაფა 35. „ბრუტო (კგ)” – მთელი რიცხვის სახით აღინიშნება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ბრუტო წონა კილოგრამებში.

23. გრაფა 38. „ნეტო (კგ)” – მთელი რიცხვის სახით ჩაიწერება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ნეტო წონა კილოგრამებში. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წონა 1 კგ-ზე ნაკლებია (მაგ. ძვირფასი ლითონები), 38-ე გრაფაში ჩაიწერება 1, ხოლო საქონლის ზუსტი წონა გრამებში აღინიშნება 31-ე გრაფაში.

24. გრაფა 40. „საერთო დეკლარაცია/წინმსწრები დოკუმენტი” – იგსება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი იმყოფებოდა სხვა საბაჟო რეჟიმში, ან დროებითი შენახვის საწყობში, ან მოხდა საქონლის გადატვირთვა სხვა სატრანსპორტო საშუალებაში ან მისი გადამისამართება. გრაფაში აღინიშნება წინმსწრები დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი.

25. გრაფა 44. „დამატებითი ინფორმაცია” – აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის ნაწილი 11-ის შესაბამისად.

26. გრაფა 50. „გადამზიდველი” – აღინიშნება საბაჟო გადამზიდველის რეკვიზიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). „წარმომადგენელი”–ის გასწვრივ აღინიშნება გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირის (მძღოლის) სახელი და გვარი და პასპორტის ნომერი (მხოლოდ ავტოტრანსპორტით გადაზიდვის შემთხვევაში).

27. გრაფა 52. „სსსდ” – სპეციალური საბაჟო სატვირთო დეკლარაციის არსებობის შემთხვევაში აღინიშნება მისი ნომერი.

28. გრაფა 53. „დანიშნულების საბაჟო” – აღინიშნება იმ საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება კლასიფიკატორის ნაწილი 2-ის შესაბამისად, სადაც ხდება საქონლის კონტროლიდან მოხსნა ან იმ საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მოხდება საბაჟო რეჟიმის შეცვლა, საქონლის გადამისამართება ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა.

29. გრაფა 55. „ადგილი და თარიღი” – მიეთითება დეკლარაციის შევსების ადგილი და თარიღი. საქონლის გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირი ხელმოწერით ადასტურებს დეკლარაციაში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისტორეს.

### საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკის შესავსები გრაფები

1. საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელე ავსებს შემდეგ გრაფებს: 54, B, C, D, E.

2. გრაფა 54. „მებაჟე” – აღინიშნება საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი მოხელის პირადი ნომერი; ლუქის ნომრები”–ს გასწვრივ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის ნომრები. თუ ლუქი არ არის დადებული აღინიშნება ”0”. „გამოცხადების თარიღი”–ს გასწვრივ აღინიშნება 53-ე გრაფაში აღნიშნულ საბაჟო ორგანოში გამოცხადების თარიღი.

3. გრაფა ”B”. აღინიშნება რეგისტრაციის D ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

4. გრაფა ”C გამგზავნი საბაჟო” – გრაფაში უნდა დაისვას დეკლარაციის მიმღები საბაჟო ორგანოს დამღა - „აყვანილია კონტროლზე”. დამღაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს გაფორმების თარიღს. საბაჟო კონტროლის დამადასტურებელი დამღა მოწმდება ამავე მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით. ბეჭდის დასმა დამღის შიგნით დაუშვებელია. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით. სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდისა და დამღის ნომრები და წარწერა.

5. გრაფა „D” – იგსება 53-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების საბაჟო ორგანოში. გრაფაში აღინიშნება კონტროლიდან მოხსნის ნომერი, რომელიც მოწმდება პასუხისმგებელი მოხელის პირადნომრიანი ბეჭდით. დამატებითი ფურცლების აღნიშნულ გრაფაში ისმება მხოლოდ პასუხისმგებელი მოხელის პირადნომრიანი ბეჭდები.

6. გრაფა „E” – უნდა დაისვას 53-ე გრაფაში მითითებულ დანიშნულების საბაჟო ორგანოს დამღა - „მოხსნილია კონტროლიდან”. დამღაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი მოხელე აწერს ხელს და მიუთითებს კონტროლიდან მოხსნის თარიღს. ხელმოწერა შესრულებული უნდა იყოს გარკვევით სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს დამღის ნომერი და წარწერა.

## 6.2. მნიშვნელოვანი საბაზო ინფორმაციები

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**  
**საბაზო დეპარტამენტი**  
**საბაზო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო**  
**საშუალების აღრიცხვის**  
**მოწმობა №00000**

1 ექსპორტიორი N:	მოწმობა A გამგზავნი საბაზო ორგანო T1 საბაზოს კოდი: 2 ფორ. 3 B სარეგისტრაციო ნომერი
4 საქ. 5 აღგ რაოდ. 2006/1	
6 იმპორტიორი N :	7 გამომგზ. ქვეყანა 7ა კოდი 8ა კოდი 8 დანიშნ. ქვეყანა
9 სატრანსპორტო საშუალება 10 კტ ქვეყნაში	C აყვანილია კონტროლზე
11 სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე	
12 ტრანსპორტის სახე	
13 საქონლის აღწერა და რაოდენობა 14 საქ.	15 საქონლის კოდი
1 № რ-ბა, სახე: 0 საქონლის აღწერა :	16 საერთ. წონა , კგ
კონტეინერის ნომრები:	17 წონა, კგ
19 სატრანსპორტო დოკუმენტები	18 გადაიტვირთა მოწმობა №
20 პასუხისმგებელი №	E მოხსნილია კონტროლიდან
21 დანიშნულების ადგილი	
22 მოწმობა : :	23 დანიშნულების საბაზო
24 მებაჟე: ლუქის ნომრები : გამოცხადების თარიღი: დრო:	25 ადგილი და თარიღი

**საბაჟო დამუშავების ოპერაციების კლასიფიკატორი**

<b>№</b>	<b>დასახელება</b>	<b>კოდი</b>
<b>საბაჟო რეჟიმები</b>		
1.	საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)	40
2.	საქონლის ტრანზიტი	80
3.	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვა	74
4.	საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება	51
5.	საქონლის დროებითი შემოტანა	34
6.	საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება	61
7.	საქონლის ექსპორტი	10
<b>საბაჟო დამუშავების სხვა ოპერაციები</b>		
1.	საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში	71
2.	საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი	11
3.	საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ	76
4.	საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში	75

**საბაჟო ორგანოებისა და საბაჟო დამუშავების ოპერაციების აღგილების კლასიფიკატორი**

<b>საბაჟოს კოდი</b>	<b>საბაჟოს დასახელება</b>
69 001	საბაჟო საგუშაგო “თბილისის აეროპორტი”
69 002	საბაჟო გამშვები პუნქტი “წითელი ხიდი”
69 003	საბაჟო გამშვები პუნქტი “სადახლო”
69 005	საბაჟო გამშვები პუნქტი “გუგუთი”
69 006	საბაჟო გამშვები პუნქტი “ახერპი”
69 007	საბაჟო გამშვები პუნქტი “სამთაწყარო”
69 009	საბაჟო გამშვები პუნქტი “გარდაბანი”
69 010	საბაჟო გამშვები პუნქტი “ლაგოდეხი”
69 021	საბაჟო გამშვები პუნქტი “მტკვარი”
69 101	საბაჟო გამშვები პუნქტი “ყაზბეგი”
69 301	საბაჟო გამშვები პუნქტი “ვალე”
69 302	საბაჟო გამშვები პუნქტი “ნინოწმინდა”
69 401	საბაჟო გამშვები პუნქტი “ქუთაისის აეროპორტი”
69 501	საბაჟო საგუშაგო “ფოთის პორტი”
69 502	საბაჟო გამშვები პუნქტი “ფოთის აეროპორტი”
69 504	საბაჟო გამშვები პუნქტი “სენაკის აეროპორტი”

- 69 601 საბაჟო გამშვები პუნქტი “სარფი”
- 69 602 საბაჟო საგუშაგო “ბათუმის პორტი”
- 69 603 საბაჟო გამშვები პუნქტი ”ბათუმის აეროპორტი”
- 69 040 - ქ. თბილისი, ჭირნახულის I შესახვევი 7;
- 69 000 - ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. 30;
- 69 042 - რუსთავი - „წითელი ხიდის“ ავტომაგისტრალის 56-ე კმ (შპს „რედ ბრიჯი -ს ღია საბაჟო საწყობის ტერიტორია);
- 69 014 - ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. 38 (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა. ამ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ რკინიგზით მოძრავი ტვირთებისა და დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში შენახული საქონლის მოქცევას);
- 69 017 - ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. 1 (გარდა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევისა. ამ რეჟიმში ახორციელებს მხოლოდ რკინიგზით მოძრავი ტვირთებისა და დახურული საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საწყობში შენახულ საქონლის მოქცევას);
- 69 200 - ქ. მცხეთა, ნარეკვავის დასახლება, ნატახტარის ქ. 1;
- 69 027 - მცხეთის რ-ნი, ზაქესის დასახლება, მშვიდობის ქ. 105ა;
- 69 300 - ბორჯომის რ-ნი, სოფელი ჩითახევი;
- 69 050 - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი (ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობა) – მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისათვის.
- 69 043 - საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის საბაჟო რეჟიმში მოქცევის ოპერაცია განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ საბაჟო პროცედურის ჩატარების ადგილზე.
- 69 001 - რეგიონალური საბაჟო „აღმოსავლეთის“ საბაჟო საგუშაგო „თბილისის აეროპორტის“ საბაჟო გაფორმების განყოფილება – ქ. თბილისის აეროპორტი.
- 69 600 - ხელვაჩაურის რ-ნი, სოფელი ადლია, შპს „ტერმინალის“ საწყობის ტერიტორია;
- 69 605 - ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. 11 - მხოლოდ ავტოსატრანსპორტო

- საშუალებების შესაბამის საბაჟო რეჟიმში მოქცევისათვის.
- წყალტუბოს რაიონი, სოფ. ქვიტირი, „საბაჟო-კემპინგი”;
  - საბაჟო საგუშაგო „ბათუმის პორტი“, ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. 60;
  - საბაჟო საგუშაგო „ფოთის პორტი“ – ქ. ფოთი, ხობის ქ. 7;
  - ქ. ფოთი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეცნიელოსა და ზემო სვანეთის სამმართველოს მე-3 სახაზო განყოფილება – მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ შესაბამისი საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებისათვის.

### ტრანსპორტის სახეობების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
10	საზღვაო ტრანსპორტი
12	რკინიგზის ვაგონი საზღვაო ხომალდზე (ბორანი)
16	თვითმავალი საგზაო საშუალება საზღვაო ხომალდზე (რო-რო-ს ჭიპის ხომალდი)
20	რკინიგზის ტრანსპორტი
30	საავტომობილო ტრანსპორტი
40	საპარო ტრანსპორტი
50	ფოსტა
70	სტაციონარული სატრანსპორტო საშუალებები (კონტეინერი, მისაბმელი, ნახევრადმისაბმელი)
90	თვითმოძრავი საშუალებები
92	მაგისტრალური მილსადენი
94	მაღალი მაბვის ელექტრონგადამცემი ზაზები

**საბაჟო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების კლასიფიკატორი**

<b>დოკუმენტის კოდი ASYCUDA -ში</b>	<b>დოკუმენტის დასახელება</b>
001	საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა
002	კონტრაქტი, ხელშეკრულება
003	შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი)
004	სატრანსპორტო ზედღებული
005	კონოსამენტი
006	მანიფესტი
007	TIR-კარნეტის დოკუმენტი
008	ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ
009	დაკვირვების ელექტრონული საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია
010	კვტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა
011	კვტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა
012	ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა
013	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
014	ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიული ნივთიერებების, რადიაქტიული ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიული ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუსების ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
015	„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ნებართვა
016	იარაღისა და საბრძოლო მასალის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
017	უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოდან შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვა
018	იარაღის ერთი სახეობის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის (გარდა ექსპორტ-იმპორტის, ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა
019	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა
020	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა
021	არაინდიზებული მარილის იმპორტის ნებართვა

022	საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა
023	დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეექსპორტის ნებართვა
024	ხე-ტყის ექსპორტისას – ხე-ტყის კანონიერების ან/და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი
025	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ
026	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ
027	საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი
028	საქონლის შესაბამისობის სერტიფიკატი
029	საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი
030	ფიტო-სანიტარიული სერტიფიკატი
031	კუტერინარული სერტიფიკატი
032	სანიტარიული-ჰიგიენური სერტიფიკატი
033	ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი
034	საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია
035	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია
036	საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია
037	საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია
038	სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია
039	სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სსაფ) – ნავთობპროდუქტების იმპორტის დროს
040	საქონლის სპეციფიკაცია
041	საბანკო გარანტია
042	ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი
043	სახელმწიფო ხაზინის ცნობა სახელმწიფო ხაზინაში გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტის) შეტანის თაობაზე
044	აქციზური საქონლის ბარათი
045	საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი
046	სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმა
047	საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
048	გადასახდის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი)
049	შეფუთვის ფურცელი
050	ექსპერტის აქტი
051	საქონლის დათვალიერების აქტი
052	საქონლის სინჯის (ნიმუშის) აღების აქტი (ოქმი)
053	ჯარიმის გადახდის დოკუმენტი
054	სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ
055	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
056	წერილი
057	განცხადება
058	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი

**საქონლის შეფუთვის მდგომარეობის კლასიფიკატორი**

კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება
01	ნაყარი	11	ცილინდრი
02	ნაყარი გრანულირებული	12	პაკეტი
03	ჩასხმით	13	კასრი
04	შეუფუთავი	14	ამანათი
05	აეროზოლი	15	მუყაოს ყუთი
06	ტომარა	16	ყუთი
07	შეკვრა	17	სხვა
08	ჩარჩოები	18	ქვესაღვამი
09	რულონი	19	ბალონი
10	შესაფუთი		

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
საბაჟო დეპარტამენტი**

**განაცხადი**

დოკუმენტის კოდი ASYCUDA- ში	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის №	დედანი	ასლი	შენიშ- ვნა
001	საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა				
002	კონტრაქტი, ხელშეკრულება				
003	შესყიდვის დოკუმენტი (ინვისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი)				
004	სატრანსპორტო ზედღებული				
005	კონოსამენტი				
006	მანიფესტი				
007	TIR-კარნეტის დოკუმენტი				
008	ერთჯერადი ან გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება ან მისი შემცვლელი დოკუმენტი წარმომადგენლის უფლებამოსილების შესახებ				
009	საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) ნებართვა („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად)				
010	საქონლის ექსპორტის ნებართვა („ლიცენზიებისა				

	და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად)			
011	საქონლის ტრანზიტის ნებართვა („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად)			
012	საქონლის რეესპორტის ნებართვა („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად)			
013	დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში წარმოებული საქონლის რეესპორტის ნებართვა (შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსლი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული)			
014	წე-ტყის ექსპორტისას – წე-ტყის კანონიერების ან/და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი			
015	საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების სანებართვო მოწმობა			
016	საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების სანებართვო მოწმობა			
017	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის პუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ			
018	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილობითი დასკვნა საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების შესახებ			
019	საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი			
020	საქონლის შესაბამისობის სერტიფიკატი			
021	საქონლის უსაფრთხოების სერტიფიკატი			
022	ფიტო-სანიტარული სერტიფიკატი			
023	ვეტერინარული სერტიფიკატი			
024	სანიტარიული-ჰიგიენური სერტიფიკატი			
025	ფუმიგაციისა და დეზინფექციის სერტიფიკატი			
026	საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია			
027	საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია			
028	საქონლის ღროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია			
029	საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის საბაჟო დეკლარაცია			
030	სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაცია			
031	სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (სსაფ) – ნაკონდეპოდუქტების იმპორტის ღროს			
032	საქონლის სპეციფიკაცია			
033	საბანკო გარანტია			
034	ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი			
035	სახელმწიფო ხაზინის ცნობა სახელმწიფო			

	ხაზინაში გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტის) შეტანის თაობაზე			
036	აქციზური საქონლის ბარათი			
037	საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ქვეშ დროებითი შენახვის განაცხადი			
038	სამკურნალო საშუალებების საბაჟო აღნუსხვის ფორმა			
039	საბაჟო გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი			
040	გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი)			
041	განაცხადი-შეტყობინება საქონლის რეესტრობიზე			
042	შეფუთვის ფურცელი			
043	ექსპერტიზის აქტი			
044	ჯარიმის გადახდის ქვითარი			
045	სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ			
046	მოკვლევის ცნობა			
047	წერილი			
048	განცხადება			
049	ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი			

### **7.3. ტრანზიტოან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ნუსხა**

#### **7.3.1. საქართველოს კანონები**

1. საქართველოს საბაჟო კოდექსი, 25.07.2006წ. №3545-რს;
2. საქართველოს საზღვაო კოდექსი – 15.05.1997წ. №715;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 26.06.1997წ. №786;
4. საქართველოს სარკინიგზო კოდექსი. 28.12.2002წ. №1911-რს;
5. საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის №1217 კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“.
6. საქართველოს 1998 წლის 18 ოქტომბრის №1226-IIს კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“;
7. საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის №3509-რს კანონი „საბაჟო ტარიფის შესახებ“;
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 22.07.1999წ. №2287;
9. საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის №957-IIს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“;
10. საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის №1536-რს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“;

#### **7.3.2. ბრძანებები**

1. დებულება ნავსადგურების, გემებისა და საზღვაო ტრანსპორტის სხვა ობიექტების დაცვის შესახებ. 12.12.2003 წ. №51;
2. საქართველოს საზღვაო ნავსადგურის წესების დამტკიცების შესახებ. 12.12.2003 წ. №53;
3. საქართველოს ნავსადგურებში გემებზე (სამორიგეო) მომსახურების განაკვეთების შესახებ. 02.12.2005 წ. №60/ა;
4. საქართველოს ნავსადგურებში სამგზავრო-საკრუზო გემებისათვის სანავსადგურო მომსახურების ტარიფებზე შედავათების დადგენის შესახებ. 21.12.2005 წ. №63/ა;
5. „საქონლის ტრანზიტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1761, 20.12.2006 წ.;
6. „საბაჟო კონტროლის ზონის შექმნის წესისა და საბაჟო კონტროლის ზონის ადგილების განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1766, 20.12.2006 წ.;
7. „საქართველოს მთავრობის დადგენილებით განუსაზღვრელ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის სხვა ადგილებში ან სასაზღვრო საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს შემოტანის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1771, 20.12.2006 წ.;
8. „საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო პროცედურების განხორციელების დროისა და ადგილის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1765, 20.12.2006 წ.;
9. „გარანტიის წარდგენისა და გამოყენების, მისი წარდგენისაგან გათავისუფლების შემთხვევებს და საგარანტიო თანხის განსაზღვრის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1767, 20.12.2006 წ.;
10. „საბაჟო გადაწყვეტილების მიღების ვადების განსაზღვრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1772, 20.12.2006 წ.;
11. „საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1764, 20.12.2006 წ.;

12. „საბაჟო დეკლარაციის სახეების, ფორმების, შევსების, წარდგენის დაბრუნების, შეცვლის, რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, ზეპირი დეკლარირებით ან სხვა მოქმედებების განხორციელებით საბაჟო დეკლარაციის წარდგენის, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ფორმისა და შევსების, საფოსტო გზავნილის დეკლარაციის ფორმისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციების და საბაჟო დეკლარირების კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №1776, 20.12.2006 წ..

### 7.3.3. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

1. საერთაშორისო კონვენცია – თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი, ბარსელონა, 20.04.1921წ. ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 16 აპრილის №1903 დადგენილებით;
2. საერთაშორისო კონვენცია – საერთაშორისო საპარო მიმოსვლის სატრანზიტო შეთანხმება. 07.12.1944 წ. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 14 აგვისტოს №2966 რს დადგენილებით;
3. გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, 15.04.1994 წ.
4. შეთანხმება გადაზიდვისწინა ინსპექტირებაზე. 15.04.1994 წ.
5. საერთაშორისო დეკლარაცია ისეთ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც საბაჟო სამსახურებს გააჩნიათ საფუძველი ეჭვი შეიტანონ დეკლარირებული ღირებულების სინამდვილესა ან სიზუსტეში. 15.04.1994 წ.
6. ხელშეკრულება აზერბაიჯანის რესპუბლიკას, თურქენეთს, საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ. 13.05.1996 წ.
7. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სარკინიგზო ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ. 14.06.2004 წ.
8. შეთანხმება წარმოშობის წესების შესახებ;
9. შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ;
10. კონვენცია „იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ, რომლებსაც არ აქვთ გასასვლელი ზღვაზე“;
11. კონვენცია “ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულებების შესახებ“;
12. ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების კონვენციის ოქმი;
13. უნევის 1982 წლის 21 ოქტომბრის კონვენცია „საზღვრებზე ტვირთის კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“;
14. უნევის 1972 წლის კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია;
15. შეთანხმება თურქენეთს, აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის სატრანზიტო გადაზიდვების რეგულირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
16. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
17. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
18. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტს შორის ორი სახელმწიფოს საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ;

19. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ;
20. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და სომხეთის რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს შორის ორი სახელმწიფოს საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის შესახებ;
21. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ;
22. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტს შორის სატრანზიტო ტვირთების საბაჟო გაფორმების შესახებ;
23. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და თურქენეთის სახელმწიფო საბაჟოს შორის სატრანზიტო ტვირთებისა და მოქალაქეთა ბარგის გაფორმების შესახებ;
24. შეთანხმება სატრანზიტო ტვირთების საბაჟო გაფორმების შესახებ;
25. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შორის სატრანზიტო ტვირთებისა და მოქალაქეთა ბარგის საბაჟო გაფორმების შესახებ;
26. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და უკრაინის საბაჟო ორგანოების მიერ სატრანზიტო ტვირთის საბაჟო გაფორმების პროცედურისა და ასეთი პროცედურის დროს მათი ურთიერთქმედების შესახებ;
27. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტსა და უკრაინის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის სატრანზიტო ტვირთებისა და მოქალაქეთა ბარგის საბაჟო გაფორმების შესახებ;
28. საბაჟო წესების დარღვევათა აღკვეთის, გამოძიებისა და შეზღუდვების სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ (ნაირობის კონვენცია).